დანართი №6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ)

(შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

მამუკა ხამხაძე

წევრ(ებ)ი:

თინა ძულიაშვილი

ნაწილი I. შესავალი

[1] შენიშვნა: ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ გეგმიური

☐ არაგეგმიური

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	212274867

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	მერაბ ალექსიძის ქუჩის II შესახვევი #4
საფოსტო ინდექსი	0160
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://skolaatinati.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	skolaatinati30@gmail.com
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(+995 32) 2212937

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანება MES 1 25 0001601191 13/11/2025 „შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	11-12 დეკემბერი, 2025 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების #MES 1 25 0001601191 13/11/2025- ,,შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ საფუძველზე, მიმდინარე წლის **11** და **12** დეკემბერს განხორციელდა გეგმიური ვიზიტი შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში (შემდგომში სკოლა, დაწესებულება). ექსპერტების ჯგუფს დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ პირისპირ რეჟიმში გასაუბრებოდნენ სკოლის დირექციას, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წევრებს, მშობლებსა და მოსწავლეებს და მოეპოვებინათ საჭირო ინფორმაცია პირველ, მესამე და მეოთხე სტანდარტებთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც სამუშაო პროცესში გამოიკვეთა.

გეგმიური მონიტორინგის წარმოების ფარგლებში ექსპერტები გაეცნენ სკოლის დოკუმენტაციას, გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს. ექსპერტებმა აქცენტი გააკეთეს სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, მარეგულირებელ დოკუმენტებთან ამ პროცესების შესაბამისობაზე და გამოკვეთეს რიგი გარემოებები.

სკოლამ გაითვალისწინა არაგეგმიური მონიტორინგის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ მიღებული რეკომენდაციები და გეგმიური მონიტორინგის დროისათვის ძირითადად შესრულებული ჰქონდა ეს რეკომენდაციები. აშკარად გამოიკვეთა პროგრესი როგორც სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო სასკოლო დოკუმენტაციის წარმოების, ისე ძირითადი და დამხმარე პროცესების კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობის თვალსაზრისით. სკოლაში არის გუნდი, რომელსაც უნარი შესწევს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა წარმატებით წარმართოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ვიზიტის მიმდინარეობას, სკოლის დირექციამ ითანამშრომლა ექსპერტებთან, წარმოადგინა მათ ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები, დოკუმენტაცია. შედგა ეფექტური კომუნიკაცია.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა

180	178

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა დასკვნის პროექტში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით (სკოლის წერილი #3/01 21.01.2026წ. თანდართული დოკუმენტაციით), რომელშიც დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულ ხარვეზებს და გამოხატა მზადყოფნა გაითვალისწინოს სკოლისათვის მიცემული რჩევები. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და დაადგინეს მათი შესაბამისობა სტანდარტთან. ექსპერტებმა იხელმძღვანელეს სკოლის წერილით #3/01 21.01.2026წ. და შესაბამისობის გეგმით, სადაც დეტალურად არის წარმოდგენილი სკოლის მიერ განხორციელებული ან/და დაგეგმილი ღონისძიებების ნუსხა და გაითვალისწინეს ინდიკატორების შეფასებისას.

ინდიკატორი #3.1.1.1. იყო დახარვეზებული. კერძოდ, შრომით ხელშეკრულებებში გაწერილი **სკოლის ექიმისა და ექთნის ფუნქციები არ შეესაბამებოდა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ სკოლის ექიმისა და ექთნის სამუშაოს აღწერილობას. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება - ექიმთან გაფორმებული ახალი შრომითი ხელშეკრულება #4-01 16.01.2026წ. და ექთანთან გაფორმებული ახალი შრომითი ხელშეკრულება #4-02 16.01.2026წ. რომელშიც დეტალურადა გაწერილი ექიმისა და შესაბამისად ექთნის ფუნქცია-მოვალეობები #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. ბრძანების მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით ხარვეზი აღმოფხვრილია.

არგუმენტირებულ პოზიციამდე ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის და შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება“.

ინდიკატორი #3.1.1.1. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა სპეც. მასწავლებლისა და ფსიქოლოგის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ. კერძოდ, ფსიქოლოგთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში არ იყო გაწერილი - იღებდა თუ არა ფსიქოლოგი მონაწილეობას სსსმ მოსწავლის ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, მაშინ როცა სკოლის დებულებაში და პერსონალის მართვის წესში ასეთი ვალდებულება დაკისრებული ჰქონდა ფსიქოლოგს. გარდა ამისა, სკოლის დებულებაში და პერსონალის მართვის წესში გაწერილი სპეც. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები განსხვავებულად იყო ფორმულირიებული, ვიდრე მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით (ფსიქოლოგთან ახალი ხელშეკრულება #4-03 16.01.2026წ. და სპეც. მასწავლებელთან ახალი ხელშეკრულება #4-03 16.01.2026წ.) დასტურდება, რომ სკოლის ფსიქოლოგისა და სპეც. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტში - სკოლის დებულებაში, პერსონალის მართვის წესში და შესაბამის შრომით ხელშეკრულებებში ერთმანეთის იდენტურად არის გაწერილი.

ინდიკატორი #3.4.1.1. იყო დახარვეზებული - სკოლას არა აქვს შენობის მდგრადობის დასკვნა და ასევე უფლებამოსილი უწყების დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ დასკვნების მიღების საკითხი ჭიანურდება სკოლის შენობის მომიჯნავე ფართში განთავსებულ ბაგა-ბაღში მიმდინარე რემონტის გამო. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - მოიპოვოს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და დასკვნა სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ 20.12.2026 წლამდე.
არგუმენტირებულ პოზიციამდე ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება, შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. **სკოლას მიეცა რეკომენდაცია** უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება და დათქმულ ვადებში - 20.01.2026-20.12.2026წწ. უზრუნველყოს დასკვნების მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ინდიკატორი #3.4.2.1. იყო დახარვეზებული - სკოლას ჰქონდა ხარვეზი სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალთან დაკავშირებით. კერძოდ, ჟურნალში არ იყო მითითებული მოსწავლის ასაკი დანართი #1.1.1-ის შესაბამისად.
ასევე, სკოლა არ ავსებდა სკოლაში გაწეული სამედიცინო დახმარების მომსახურების სააღრიცხვო ფორმას დანართი #1.1-ის შესაბამისად. შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოებული სარეგისტრაციო ჟურნალი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი #1.1-ს და დანართი #1.1.1-ს.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც გაიაზიარა ექსპერტების პოზიცია - აღმოფხვრა ხარვეზი და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება. კერძოდ, წარმოადგინა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ახალი ჟურნალი - წარმოებული 2025 წლის დეკემბრის თვიდან, რომელშიც გათვალისწინებულია დანართი #1.1.1-ის ყველა მოთხოვნა, ასევე წარმოადგინა სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა (შევსებული ვერსია).

არგუმენტირებულ პოზიციამდე ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ინდიკატორი N4.2.4.2. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა, რომელიც შეეხებოდა საკლუბო მუშაობაში მოსწავლის ჩართვის რეგულაციას. კერძოდ, გაცემული იყო რჩევა სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაეფორმებინა ხელშეკრულება ან შეთანხმება საკლუბო მუშაობაში მათი შვილის ნებაყოფლობით ჩართვის დასტურად. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღწერა, როგორ მოაწესრიგა აღნიშნული საკითხი და წარმოადგინა სათანადო მტკიცებულება. კერძოდ, ისტორიის კლუბისა და ლიტერატურის წესდებაში 1.2. მუხლში მიუთითა, რომ დოკუმენტი წარმოადგენს „შეთანხმებას კლუბის ყველა წევრს შორის“. ამასთან, მე-7 მუხლით განსაზღვრა მშობლის პასუხისმგებლობა (ხელმოწერით დადასტურებული), რომ მოსწავლე სრულად იცნობს და ეთანხმება კლუბის წესებს. სკოლამ წარმოადგინა კლუბის წესდების ხელმოწერილი ფორმა, რითაც დასტურდება მოსწავლისა და მშობლის თანხმობა კლუბის საქმიანობაში ჩართვის თაობაზე. სკოლის განმარტებით, აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს მოსწავლისა და მშობლის გაცნობიერებულ, ნებაყოფლობით ჩართულობას საკლუბო მუშაობის პროცესში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	**☒ შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ... უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია** უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება დათქმულ ვადებში - 20.01.2026-20.12.2026წწ. უზრუნველყოს დასკვნების მოპოვება შენობის ექსპლუატაციის

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო	უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

V. რჩევები გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	**მიზანშეწონილია** სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია ზუსტად იყოს მორგებული სკოლის რეალობას და სასკოლო დოკუმენტაციის შედგენის დროს არ იქნას დაშვებული ტექნიკური ხასიათის შეცდომები შაბლონური დოკუმენტების გამოყენების პროცესში (მაგ. სამეურვეო საბჭოს მოხსენიება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში).

ინდიკატორი N1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.	**მიზანშეწონილია** სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის დროს მიზნების დასახვის პროცესში მკაფიოდ გამიჯნოს ერთმანეთისაგან სტრატეგიული და მიმდინარე პროცესების თანმხლები მიზნები და სტრატეგიული მიზნები დასახოს სკოლის რეალური კონტექსტის და გრძელვადიანი საჭიროებების გათვალისწინებით. **(იხ. ინდიკატორის აღწერა)**
ინდიკატორი N1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	**მიზანშეწონილია** სკოლამ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებში შეიტანოს მეტი კონკრეტიკა და გაწეროს უფრო კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც იმავდროულად თანხვედრაში იქნება საგნობრივი კათედრის სამუშაო გეგმასთან, სასკოლო სასწავლო გეგმასთან და უფრო თვალსაჩინოს გახდის

		სტრატეგიული გეგმისა და შესაბამისი ამოცანის მიღწევის კონკრეტულ გზას მოცემული სასწავლო წლის განმავლობაში, უფრო გაზომვადს გახდის აქტივობის შესრულების ინდიკატორს. (**იხ. ინდიკატორის აღწერა.)**
ინდიკატორი N1.2.2.1.	სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს	**მიზანშეწონილია** მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს სტრატეგიული დაგეგმარების შეფასების კონკრეტული მექანიზმები.

ინდიკატორი N1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.	**მიზანშეწონილია** მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ვის (რომელ სტრუქტურულ ერთეულს - მაგ. პედსაბჭოს ან პასუხისმგებელ პირს - მაგ. დირექტორს) წარუდგენს სამუშაო ჯგუფი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს განსახილველად.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურულიდა ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერა**	**რჩევა**
ინდიკატორი N3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სკოლის სტრუქტურის დოკუმენტზე სქემის თავში წარმოდგენილია პარტნიორთა კრება როგორც უმაღლესი ორგანო, დებულებაში კი წერია - დამფუძნებელთა კრება. **მიზანშეწონილია** სახელწოდებები ემთხვეოდეს ერთმანეთს.
ინდიკატორი N3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიულ განვითარების საჭიროებათ დადგენის მექანიზმები	**მიზანშეწონილია** მასწავლებელთა კითხვარები ისე იყო შედგენილი, რომ აქცენტირებული იყოს საჭიროებების ზუს იდენტიფიცირებაზე. ასევე, **მიზანშეწონილია** მეტი კონკრეტული მექანიზმები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების დასადგენად. მაგ. ისეთი სადამკვირვებლო ფორმების შემუშავება და განხორციელება, რომელიც მკაფიოდ და ფოკუსირებულად გამოავლენს მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებს, მათ შორის არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ საერთო სასკოლო საქმიანობის თვალსაზრისით. **იხ. ინდიკატორის აღწერა.**
ინდიკატორი N3.1.2.3.	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები	**მიზანშეწონილია** კონკურსის დროს სკოლის ურთიერთობა აპლიკანტებთან წარიმართოს ელექტრონული ფოსტის

	უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	მეშვეობით, მათ შორის ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ კონკურსში მონაწილე ნებისმიერ აპლიკანტს მიეწოდოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უფრო მეტ გამჭვირვალობას შესძენს კონკურსს.
ინდიკატორი N3.3.1.1.	სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს.	საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესში პროცესული მიდგომისა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულყოფის მიზნით, **მიზანშეწონილია** სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურად აღწეროს, როგორ და რა მექანიზმებით ახორციელებს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების პროცესებს, როგორც ეს არის აღწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასების წესში. **იხ. ინდიკატორის აღწერა.**
ინდიკატორი N3.3.1.4.	სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები	**მიზანშეწონილია** მოსწავლეთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი იყოს უფრო კონკრეტული შეიცავდეს მკაფიო რეგულაციებს მოსწავლეთა უფლებების დაცვი კუთხით. **იხ. ინდიკატორის აღწერა.**

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რჩევა**

ინდიკატორი N4.2.1.5.	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	**სასურველია**, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით სკოლაში შეიქმნას მოსწავლეთა საინიციატოვო ჯგუფი.

ინდიკატორი N4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს	**სასურველია,** სკოლამ კარიერული განვითარების სერვისი გაუმჯობესების მიზნით, ჩაატაროს მოსწავლეების კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რამდენად დაეხმარ მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაშ მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაშ ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლი გაგრძელებაში, გამოკითხვის შედეგები, უკუკავშირი სკოლა მისცემს შესაძლებლობას კიდევ უფრო ეფექტურად დაგეგმო შესაბამისი აქტივობები.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)	რჩევა

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

2024 წლის 30-31 ივლისს სკოლა ათინათში განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის არაგეგმიური ვიზიტი - სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის ბრძანება MES 9 24 0000860509, 15/07/2024წ. -,,შპს საერთაშორისო ქართულ სკოლა ათინათში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ". წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა განიხილეს მოქალაქის განცხადება, რომელიც ეხებოდა დაწესებულებაში მიმდინარე წლის 12 ივნისს მომხდარ ინციდენტს. კერძოდ, დასვენებაზე თამაშის დროს მე-2 კლასის მოსწავლისათვის კიდურის დაზიანების შემთხვევა. ექსპერტებმა გამოკვეთეს რამოდენიმე ასპექტი და გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები**:**

- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი არ ეფუძნება კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებს;
- სკოლას არ ჰყავს კვალიფიციური ექიმი;
- განსაკუთრებული აქცენტი სკოლის მხრიდან უნდა დაეთმოს პრევენციულ ღონისძიებებს, მათ შორის საინფორმაციო კამპანიას, რომლებიც მოსწავლეთა უსაფრთხოებას შეეხება;
- უარყოფითად შეფასდა 3.3.1.3; 3.4.1.2; 3.4.1.4; 3.4.1.8; 4.1.1.1 ინდიკატორები.
- #1 სტანდარტი - სკოლის ფილოსოფია - შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ.
- #3 სტანდარტი - სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა შეფასდა სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ.
- #4 სტანდარტი - მოსწავლეთა მხარდაჭერა შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

სკოლას დაფიქსირებული ჰქონდა ხარვეზები:

- სამოქმედო გეგმა არ შეიცავდა ინფორმაციას შესრულების ინდიკატორების და აქტივობების განხორციელებისათის საჭირო მატერიალური და ფინანსური რესურსის შესახებ.
- დაწესებულებას არ ჰქონდა დამტკიცებული და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- დაწესებულებას არ ჰქონდა დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და საგანგებო შტაბი.
- დაწესებულებას არ ჰყავდა კვალიფიციური ექიმი. სკოლის ექთანი არ აწარმოებდა სარეგისტრაციო ჟურნალებს. სკოლა არ იცავდა მის მიერ დამტკიცებულ ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს."

- ინციდენტების თავიდან აცილების მიზნით სკოლას არ ჰქონდა განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები, მათ შორის, საინფორმაციო კამპანია, რომლებიც მოსწავლეთა უსაფრთხოებას, სხეულის დაზიანების, ჯანმრთელობის და სხვა ასპექტებს შეეხება. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად კლასის დამრიგებლები და მორიგე მასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდნენ დასვენებებზე მოსწავლეთა ზედამხედველობას.

სკოლას უნდა უზრუნველეყო სტანდარტთან შესაბამისობის
რეკომენდაცია:

- #1.1.1.5. ინდიკატორი - მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობა - შესრულდა.
- #1.2.2.2. ინდიკატორი - მეთოდოლოგიის შესაბამისად სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით - შესრულდა;
- #1.2.2.3. ინდიკატორი - სამოქმედო გეგმის შედეგების საჯარობა სკოლის ვებ-გვერდზე - შესრულებულა;
- #1.2.2.4. ინდიკატორი - სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის - შესრულდა;
- #3.1.2.3. ინდიკატორი - მასწავლებლების შესაბამისი ცნობების წარმოდგენა - შესრულდა;
- #3.1.2.4. ინდიკატორი - კვალიფიციური კადრების დასაქმება - შესრულდა;
- #3.5.1.4. ინდიკატორი - რესურსოთახის მოწყობა - შესრულდა;
- #3.4.1.8. ინდიკატორი - უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასება და შედეგების შესაბამისად, მათი გაუმჯობესება - შესრულდა;
- #3.6.3.5. ინდიკატორი - ვებ-გვერდზე ინფორმაციის სრულად განთავსება - შესრულდა;
- #4.1.2.3. ინდიკატორი - სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების და პირობების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ განთავსება სკოლის ვებ-გვერდზე - შესრულდა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

შპს საერთაშორისო ქართულმა სკოლას „ათინათი“ (შემდგომში სკოლა, დაწესებულება) შემუშავებული აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში. მისიაში გაკეთებულია აქცენტები უსაფრთხო და მასტიმულირებელი გარემოს შექმნაზე, დამოუკიდებელი მოზარდის უნარჩვევების ჩამოყალიბებაზე, ქვეყნის ინტერესების და ტრადიციების გაცნობიერებაზე. ასევე სასკოლო პრიორიტეტებად დასახულია ინგლისური ენის სწავლება, არაფორმალური განათლება, ბუნებრივი გარემოს დაცვა და დემოკრატიული ღირებულებების ამაღლება.

სკოლის ხედვაში გათვალისწინებულია 7 წლიან პერსპექტივაში სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობა მოზარდის წარმატების ხელშესაწყობად, მოსწავლეების აღჭურვა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის ფილოსოფიაში აქცენტირებულია უსაფრთხო, პოზიტიური, მასტიმულირებელი გარემოს შექმნა, სადაც სწავლა სასიამოვნო პროცესია. ასევე ზრუნვა თითოეული მოზარდის წარმატებაზე.

ასევე აქცენტები კეთდება მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე - მოსწავლის მოაზროვნეობასა და მაძიებელობაზე, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე, პიროვნული პასუხისმგებლობის გამომუშვებაზე

ქვეყნის ინტერესების მიმართ, თითოეული მოსწავლის პოტენციალის გამოვლენაზე. მასტიმულირებელი გარემოს შექმნა და ქვეყნის ინტერესების მიმართ პიროვნული პასუხისმგებლობის გამომუშვება იგრძნობა სასკოლო სივრცეში, სადაც მრავლადაა გამოფენილი მოსწავლეთა ნამუშევრები სხვადასხვა თემებზე. სკოლის, როგორც სოციო-კულტურული სივრცის როლს ხაზი გაუსვეს მოსწავლეებმა მათთან ექსპერტების გასაუბრების დროს.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.**

სკოლამ წარმოადგინა ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია - დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით **N6-13, 29.07.2024წ.** დოკუმენტის მიხედვით გაწერილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სკოლის ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში. მოცემულ შემთხვევაში 2025-2026 ს/წ მოხდა სკოლის არსებული ფილოსოფიის რევიზიის პროცესი დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სკოლამ შექმნა სამუშაო ჯგუფი სკოლის ფილოსოფიაზე სამუშაოდ 7 პირის შემადგენლობით - დირექტორის ბრძანება #6-04 10.01.2025წ. ჯგუფის თავმჯდომარე - ხარისხის მართვის მენეჯერი, წევრები - საგნის მასწავლებლები, ერთი მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. ფილოსოფიის შემუშავების მიზნით ჯგუფმა შეიმუშავა კითხვარები მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლებისათვის. კითხვარი ორიენტირებული იყო ისეთ შეკითხვებზე, როგორიცაა სკოლის ძირითადი მიზნის გამოკვეთა, სკოლის ხედვა 7 წლიან პერსპექტივაში, სკოლის მთავარი ღირებულებების და პრიორიტეტების განსაზღვრა, მოქმედი მისიის შეფასება. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა შევსებული კითხვარები. ექსპერტები ვიზიტის დროს პირისპირ გაესაუბრნენ სამუშაო ჯგუფის წევრებს და დაინტერესდნენ, რატომ აირჩია სკოლამ პრიორიტეტად ინგლისური ენის სწავლება. სამუშაო ჯგუფთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზმა გამოაჩინა დაკვეთა ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებასა და სხვა პრიორიტეტებზე. ექსპერტები გაეცნენ მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ შევსებულ კითხვარებს (მატერიალური სახით), საიდანაც დადასტურდა სასკოლო საზოგადოების დაინტერესება ინგლისურ ენის სწავლებით.

მისია-ხედვის შემუშავებისას სკოლამ გაითვალისწინა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები და გამოკვეთილი სასკოლო პრიორიტეტები. ჯგუფმა შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის პროექტი. პროექტის შემუშავების შემდეგ მოხდა მისიახედვის გაზიარება სოციალური ქსელებით მშობელთა და მასწავლებელთა ჯგუფებში. სკოლის ფილოსოფიის რევიზირებული ვერსია განიხილეს პედსაბჭოს სხდომაზე 2025წ. 8 იანვარს - მტკიცებულება სხდომის ოქმი #2. სკოლის მიერ

ფილოსოფიის შემუშავების პროცესი წარიმართა შესაბამისი მეთოდოლოგიით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით და უზრუნველყოფილი იქნა სასკოლი საზოგადოების ჩართულობა (მოსწავლეების, მასწავლებლების და მშობლების). აღნიშნული დასტურდება ვიზიტის დროს მოსწავლეებთან და მშობლებთან პირისპირ გასაუბრებითაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავების მეთოდოლოგიით (მე-12 მუხლი) გათვალისწინებულია ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები: საჯარო განხილვა, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა და სკოლის ვებ-გვერდი. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს ფილოსოფიის გაზიარებას. კერძოდ, დამრიგებლების მიერ კლასის სოციალურ ჯგუფში ჩაგდებული სკოლის მისია-ხედვის დოკუმენტი და მიწერილობა მშობლებისადმი ფილოსოფიის გაცნობის თაობაზე. კლასის დამრიგებლის მასალები, სადაც მოცემულია მშობლებთან შეხვედრის ოქმი, რომლის ერთ-ერთი საკითხიც არის სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობა, მათ შორის მისია-ხედვის დოკუმენტის. კლასის დამრიგებლების ანგარიშის დოკუმენტი სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის თავმჯდომარის სახელზე, რომლითაც დამრიგებელი ჯგუფის თავმჯდომარეს აცნობებს, რომ სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების პროექტები მოწონებულ იქნა მოსწავლეებისა და მშობლების მიერ. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

2024 წლის 30-31 ივლისს განხორციელებული ვიზიტის შედეგად ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნის მიხედვით, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდ არ იყო ხელმისაწვდომი. სკოლაზე გაცემული იყო რეკომენდაცია #1.1.1.5 ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ - დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის რევიზირებული მისიის, ხედვის და ღირებულებების საჯაროობა. სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებული ჰქონდა სკოლის ვებ. გვერდის განახლების ვადა - 2024წ. სექტემბერი. სკოლაში ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის ვებ-გვერდი http://skolaatinati.ge/ რომელზეც ატვირთული იყო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. არსებული მდგომარეობით რეკომენდაცია შესრულებულია და **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდებაა შპს საერთაშორისო სკოლა ათინათი. სკოლის სახელწოდება შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საერთაშორისო ქართულმა სკოლა ,,ათინათის" ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო-სასწავლო გეგმა
- სკოლის დირექტორის ბრძანება #6-05 10.01.2025წ. სკოლის ფილოსოფიის დამტკიცების შესახებ
- სამუშაო ჯგუფის ოქმი #1 6 სექტემბერი 2024 წელი
- სამუშაო ჯგუფის ოქმი #2 27 დეკემბერი 2024 წელი
- სამუშაო ჯგუფის ოქმი #1 9 სექტემბერი 2025 წელი
- პედასბჭოს ოქმი #2 2025წ. 8 იანვარი (სკოლა ,,ათინათის" რევიზირებული ფილოსოფიის (მისია, ხედვა და ღირებულებები) განხილვა)
- IX-X-XII კლასების დამრიგებლების ანგარიშები სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარისადმი - 10.10.2024წ.
- სქრინები - კლასის დამრიგებლის მიერ კლასის მშობელთა სოციალურ ქსელში მიწოდებული სასკოლო დოკუმენტები და ინფორმაცია სასკოლო დოკუმენტაციის გაცნობის შესახებ

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი - სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სკოლის დირექტორის ბრძანება N6-13 29.07.2024წ.). არსებული დოკუმენტი მოიცავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. კერძოდ, განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების ურთიერთმიმართება, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, გეგმების შემადგენელი სავალდებულო კომპონენტების ნუსხა, შესრულების მონიტორინგი.

მეთოდოლოგიის დოკუმენტი კონკრეტული სკოლის კონტექსტში დეტალურად აღწერს სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავების და შესრულების მონიტორინგის პროცესებს. ექსპერტები სამუშაო ჯგუფთან და დირექციასთან გასაუბრებისას დაინტერესდნენ, რამდენად ახორციელებს სკოლა მეთოდოლოგიაში გაწერილ პროცედურებს სასკოლო პრაქტიკაში. გასაუბრებით დადგინდა, რომ სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი პროცესები სკოლაში მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობს. თუმცა მეთოდოლოგიის დოკუმენტში - შესრულების მონიტორინგში (მუხლი 11) მოხსენიებულია სამეურვეო საბჭო: „სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე“. ექსპერტთა ჯგუფმა დირექციასთან გასაუბრებით დაადგინა, რომ სკოლას არ ჰყავს ისეთი სტრუქტურული

ერთეული, როგორიცაა სამეურვეო საბჭო, შესაბამისად აღნიშნული არის ტექნიკური ხასიათის შეცდომა და არ შეესაბამება სკოლის სინამდვილეს.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტაცია ზუსტად იყოს მორგებული სკოლის რეალობას და სასკოლო დოკუმენტაციის შედგენის დროს არ დაუშვას ტექნიკური ხასიათის შეცდომები შაბლონური დოკუმენტების გამოყენების პროცესში (მაგ. სამეურვეო საბჭოს მოხსენიება სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

2024 წლის 30-31 ივლისს არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებისთვის ხელმისაწვდომი იყო სკოლის მიერ შედგენილი 6 წლიანი გეგმა, რომელიც მოიცავდა 2016-2022 სასწავლო წლებს. შესაბამისად, სკოლას არ ჰქონდა შედგენილი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის 7 წლიანი გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს, ასევე, შეიცავდა მისიასთან თავსებად მიზნებს.

2025 წლის 11-12 დეკემბრის ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2024-2031 წლებზე გაწერილი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც დაფუძნებული იყო სკოლის მისიასა და ხედვაზე. სტრატეგიული გეგმის პროექტი შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა და განიხილა 2025 წლის 6 სექტემბერს. სტრატეგიული გეგმა დაამტკიცა სკოლის დირექტორმა ბრძანებით #6-39 2024 წლის 10 სექტემბერს. სტრატეგიულ გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

კერძოდ, #1 მიზანი - სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; #2 მიზანი - მოსწავლეთა მხარდამჭერი პროცესების უზრუნველყოფა; #3 მიზანი - სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;

#4 მიზანი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვა/გაუმჯობესება; #5 მიზანი - ადამიანური რესურსების განვითარება; #6 მიზანი - უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნები შესაბამისობაშია მისიისა და ხედვის ძირითად აქცენტებთან. მაგ. ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია მოსწავლეთა მხარდამჭერი პროცესების უზრუნველყოფა, რომლის ამოცანაა კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მომსახურების გაუმჯობესება, რაც პირდაპირ მიმართებაშია სკოლის მისიასთან - მოსწავლეებისათვის

პოზიტიური და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა. ასევე, ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, რომლის ამოცანაა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა და ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა და სხვა.

რაც შეეხება სკოლის #7 სტრატეგიულ მიზანს - ადამიანური რესურსების მართვა და მისი ამოცანები (თანამშრომელთა შერჩევა, მიღება და გათავისუფლება, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემის შემუშავება და წახალისება; მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან ხელშეკრულებების გაფორმება). მსგავსი მიზნის დასახვა ნაკლებად შეესაბამება სტრატეგიული მიზნის მოთხოვნებს და სკოლის გრძელვადიან საჭიროებას, რადგან ასეთი მიზანი უფრო მიმდინარე პროცესის ნაწილია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ სტრატეგიული დაგეგმვის დროს მიზნების დასახვის პროცესში მკაფიოდ გამიჯნოს ერთმანეთისაგან სტრატეგიული და მიმდინარე პროცესების თანმხლები მიზნები და სტრატეგიული მიზნები დასახოს სკოლის რეალური კონტექსტის და გრძელვადიანი საჭიროებების გათვალისწინებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის. სამოქმედო გეგმა შეიმუშავა სამუშაო ჯგუფმა 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშზე, კითხვარის შედეგებსა და სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტზე დაყრდნობით. სამუშაო ჯგუფის სხდომაზე შემუშავებული 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის პროექტი განსახილველად წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს.

სამოქმედო გეგმაში ჩამოყალიბებულია ის აქტივობები, რაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად. მაგალითად, მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესების უზრუნველსაყოფად სკოლას დასახული აქვს დამატებითი სერვისების განვითარება, რომლებიც გაწერილია კონკრეტულ აქტივობებში: კლუბების ფუნქციონირება და გამრავალფეროვნება, გასვლითი გაკვეთილებისა და მიზნობრივი ექსკურსიების ორგანიზება და სხვა. აღნიშნული აქტივობის რეალურობა დაადასტურეს სკოლის მოსწავლეებმა ექსპერტებთან პირისპირ გასაუბრების დროს, რომლებაც მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები გასვლითი ღონისძიებებისა და მიზნობრივი ექსკურსიების შესახებ, ისაუბრეს სასკოლო კლუბებზე. აღნიშნული დასტურდება სკოლის ფეისბუქ-გვერდითაც, სადაც ასახულია მსგავსი აქტივობები.

თუმცა სამოქმედო გეგმაში გაწერილი რიგი აქტივობები ზოგადი ხასიათისაა და აკლია კონკრეტიკა. მაგ. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება სკოლის #1 სტრატეგიული მიზანია. მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანებია სასკოლო სასწავლო გეგმის/კურიკულუმების შემუშავება/დანერგვა, ასევე სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა. აღნიშნული ამოცანების გადასაჭრელად სამოქმედო გეგმაში გაწერილია შემდეგი აქტივობები - შიდა სასკოლო პროექტების დანერგვა, დამხმარე რესურსების ვალიდაცია, მოსწავლეთათვის მრავალფეროვანი, დამატებითი სასწავლო პროგრამების შეთავაზება და სხვა. ამ და მსგავსად ფორმულირებულ აქტივობებში ბუნდოვნად ჩანს რას და როგორ აკეთებს სკოლა დასახული ამოცანის განსახორციელებლად, რა პროექტს ახორციელებს, რა სასწავლო პროგრამას სთავაზობს მოსწავლეებს ხარისხის ასამაღლებლად. არც ერთ შემთხვევაში (არც აქტივობაში და არც შესრულების ინდიკატორში) არ იკითხება კონკრეტიკა, რა დამატებით პროგრამას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს მიმდინარე ს/წელს ან/და რა სახის სასკოლო პროექტების განხორციელებას გეგმავს სკოლა მოცემულ პერიოდში.

გარდა ამისა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ამოცანის შესასრულებლად სკოლას დაგეგმილი აქვს ისეთი აქტივობები, როგორიცაა - სკოლის კეთილმოწყობა, ინვენტარის შეძენა საჭიროებისამებრ, წიგნადი ფონდის შევსება, სპორტული ინვენტარის განახლება და სხვა მსგავსი. თუმცა ამ აქტივობებში არ ჩანს მოცემულ სასწავლო წელს განსახორციელებელი კონკრეტული სამუშაოები, რომელიც ნათლად წარმოაჩენდა როგორ აღწევს სკოლა დასახულ მიზანს ნაბიჯ-ნაბიჯ.

სამოქმედო გეგმა ეფუძნება სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, რომელიც განახორციელა სკოლამ 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშვებით.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებში შეიტანოს მეტი კონკრეტიკა და გაწეროს უფრო კონკრეტული მოქმედებები, რომლებიც იმავდროულად თანხვედრაში იქნება საგნობრივი კათედრის სამუშაო გეგმასთან, სასკოლო სასწავლო გეგმასთან და უფრო თვალსაჩინოს გახდის სტრატეგიული გეგმისა და შესაბამისი ამოცანის მიღწევის კონკრეტულ გზას მოცემული სასწავლო წლის განმავლობაში, უფრო გაზომვადს გახდის აქტივობის შესრულების ინდიკატორს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

სკოლის 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმაში მოცემულია 2024-2031 წწ. სტრატეგიული გეგმის და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ასევე შესრულების ინდიკატორები, გაწერილია ვადები, პასუხისმგებელი პირები და შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი.

გასათვალისწინებელია, რომ 2024 წლის 30-31 ივლისს ვიზიტის მიმდინარეობისას სკოლის **2023-2024** სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ იყო განსაზღვრული შესრულების ინდიკატორები და აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური თუ ფინანსური რესურსები. ინდიკატორი არ აკმაყოფილებდა სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

გეგმიური მონიტორნგის ვიზიტის პერიოდში აშკარად გამოჩნდა, რომ სკოლამ დიდი სამუშაო გასწია სკოლის ფილოსოფიისა და გეგმების დამუშავების მიმართულებით, სამოქმედო გეგმა შეიმუშავა ყველა საჭირო პარამეტრის დაცვით. თუმცა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული რიგი აქტივობები უფრო შაბლონური ან/და ზოგადი ხასიათისაა და საჭიროებს დაზუსტებას. სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფთან გასაუბრებამ გამოაჩინა, რომ სკოლაში არის სათანადო კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი, რომელსაც უნარი შესწევს გააუმჯობესოს სამოქმედო გეგმის პარამეტრები. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება #6-39 „სტრატეგიული გეგმის 2024-2031 წწ. დამტკიცების შესახებ“.
- 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმა
- 2024-2031 წლების სტრატეგიული გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს (სკოლის დირექტორის ბრძანება N6-13, 29.07.2024წ.). მეთოდოლოგიაში გათვალისწინებულია მონიტორინგის მექანიზმები, როგორიცაა დაკვირვება და შეფასება, რამდენადაა მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. განსაზღვრულია მონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო - სამუშაო ჯგუფი. ასევე გათვალისწინებულია წერილობითი ანგარიშების წარმოდგენა სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. დოკუმენტში მოცემულია მონიტორინგის შედეგების ამსახველი სპეციალური ცხრილი. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი, თუ როგორ, ვის მიერ მოხდება სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება და მონიტორინგის შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

რჩევა: მიზანშეწონილია მეთოდოლოგიაში მკაფიოდ გაიწეროს სტრატეგიული დაგეგმარების შეფასების კონკრეტული მექანიზმები.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

არაგეგმიური ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ ახორციელებდა სამოქმედო გეგმის (განხორციელების პერიოდი 2023 წლის სექტემბერი - 2024 წლის ივნისი) შესრულების მონიტორინგს და შეფასებას. ასევე, ვინაიდან მეთოდოლოგიური დოკუმენტის შედგენაც ვიზიტამდე ერთი დღით ადრე განხორციელდა, სკოლას არ ჰქონდა გაახორციელებული მონიტორინგი დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა 2024-2025 სასწავლო წელს გეგმავდა განეხორციელებინა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოების უკუკავშირის გათვალისწინებით. სკოლაზე გაცემული იყო რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს მეთოდოლოგიის შესაბამისად, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება სასკოლო საზოგადოებისა ჩართულობით.

გეგმიური ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 ს/წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. ანგარიშში ასახულია თითოეული სტრატეგიული მიზანი შესაბამისი ამოცანით და აღწერილია ამოცანის გადასაჭრელად განხორციელებული აქტივობის შესრულება. ანგარიში ისეა შედგენილი, რომ შეიცავს აქტივობების თვისობრივ მახასიათებლებს - აქტივობის შესრულების აღწერილობა ხშირ შემთხვევაში მოიცავს დაზუსტებულ ინფორმაციას სკოლის მიერ განხორცილებული მოქმედებების შესახებ. მაგ. კარიერული დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით სკოლამ განახორციელა კონკრეტული ვიზიტები კონკრეტულ საწარმოებში, გააფორმა მემორანდუმი პროფესიულ კოლეჯთან; ასევე გააქტიურა კლუბური მუშაობა სამოქალაქო განათლებისა და ქართული ლიტერატურის მიმართულებით. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად სკოლამ ჩაატარა მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა გამოკითხვები, რომელთა შედეგები გაითვალისწინა მომდევნო ს/წლის სამოქმედო გეგმაში. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შეიმუშავა გასაჩივრების წერილობითი მექანიზმი, შეადგინა დისციპლინური კომიტეტი და სხვა. აღნიშნული აქტივობების ნამდვილობა დადასტურდა მტკიცებულებების გაცნობითა და მოსწავლეებთან ექსპერტების გასაუბრების დროს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

2024 წლის არაგეგმიური ვიზიტის დროს სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები არ იყო საჯარო. მათ შორის, სკოლის ვებ. გვერდიც არ მოიცავდა მონაცემებს სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მითითებული იყო, რომ 2024-2025 სასწავლო წელს დაწესებულება უზრუნველყოფდა სამოქმედო გეგმების შედეგების გამოყენებას და მათ საჯაროობას სკოლის ვებ. გვერდზე. სკოლაზე გაცემული იყო რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შედეგების საჯაროობა სკოლის ვებ. გვერდზე.

2025 წლის გეგმიური ვიზიტის დროს სკოლამ შეისწავლა სკოლის დოკუმენტაცია. სკოლას შედგენილი ჰქონდა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რაც შეეხება სტრატეგიულ გეგმას, მისი შესრულების ანგარიში მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით უწევს 3 წლის შემდეგ. სკოლას ვებ-გვერდზე ატვირთული ჰქონდა სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში გათვალისწინებულია ინფორმაციის გაზიარების საშუალებები: სკოლის ვებ-გვერდი, ელექტრონული ფოსტა, საჯარო განხილვა. სამუშაო ჯგუფის წევრებმა პირისპირ გასაუბრების დროს განაცხადეს, რომ

სამოქმედო გეგმის ანგარიში წარუდგინეს მასწავლებლებს პედსაბჭოზე, თუმცა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენიაათ. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

2024 წელს არაგეგმიური ვიზიტის დროს სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ფიქსირდებოდა, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილად და გაცემული იყო რეკომენდაცია - დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს, რომ სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს სასწავლო წლის ბოლოს. ანგარიშის სახით მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ივსება ცხრილი თითოეული სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი აქტივობის შესრულებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით და კეთდება განხორციელებული მონიტორინგის შედეგების ანალიზი. მეთოდოლოგიაში (და არც სხვა დოკუმენტში) არ ჩანს, ვის წარუდგენს სამუშაო ჯგუფი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რათა ანგარიში გამოყენებული იქნეს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. თუმცა მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებამ და 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმის აქტივობების შესწავლამ აჩვენა, რომ სკოლა 2025-2026 ს/წ განმავლობაში უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმის შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. რჩევა: მიზანშეწონილია მეთოდოლოგიის დოკუმენტში მკაფიოდ გაიწეროს ვის (რომელ სტრუქტურულ ერთეულს - მაგ. დირექტორს, პედსაბჭოს) წარუდგენს სამუშაო ჯგუფი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს განსახილველად.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 ს/წ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში
- ვებ-გვერდი http://skolaatinati.ge/

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. **პერსონალის მართვა**

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

სკოლას შემუშავებული აქვს დებულება (სკოლის დირექტორის ბრძანება #6-18 02.08.2024წ.), რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები და თანამდებობრივი პოზიციები.

სკოლის სტრუქტურა მოიცავს: დამფუძნებელთა კრება, დირექცია (დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორი), ადმინისტრაცია (დირექტორის მოადგილე სასწავლო აღმზრდელობით დარგში, დაწყებითი საფეხურის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, მრჩეველი, მთავარი ბუღალტერი, საქმისწარმოების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფსიქოლოგი, სპეც. მასწავლებელი, ექიმი, ექიმი, ექთანი, სამეურნეო დარგის მენეჯერი), პედაგოგიური საბჭო, ტექნიკური პერსონალი (უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირი, დარაჯი, დამლაგებელი, მზარეული, მზარეულის თანამშემწე, მებაღე).

რჩევა: სკოლის სტრუქტურის დოკუმენტზე სქემის თავში წარმოდგენილია პარტნიორთა კრება როგორც უმაღლესი ორგანო, დებულებაში კი წერია - დამფუძნებელთა კრება. უმჯობესია სახელწოდებები ემთხვეოდეს ერთმანეთს.

სკოლის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ზემოთხსენებული თანამდებობრივი პოზიციები. აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია თანამშრომლებთან ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში**.** ამასთან, სკოლას დამტკიცებული აქვს დებულება, სადაც განსაზღვრულია სკოლის საშტატო განრიგით დამტკიცებულ პირთა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების (საგნობრივი კათედრების და პედაგოგიური საბჭოს) ფუნქციები.

2024 წლის არაგეგმიური ვიზიტის დროს ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავდნენ, რომ სკოლის მიერ დამტკიცებულ დებულებაში არ არის გამიჯნული ექიმისა და ექთნის, აგრეთვე სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის ფუნქციები. 2025 წლის გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს სათანადო დოკუმენტები და დაადგინეს, რომ სკოლამ გაითვალისწინა შენიშვნა და ერთმანეთისაგან გამიჯნა ექიმისა და ექთნის, ასევე სპეც. მასწავლებლისა და ფსიქოლოგის ფუნქცია-მოვალეობები. ამასთან, ექსპერტებმა დააფიქსირეს სხვა სახის შეუსაბამობა - სკოლის დებულებაში და პერსონალის მართვის წესში გაწერილი **ექიმისა და ექთნის ფუნქციები რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება** ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტით" დადგენილ **ექიმისა და ექთნის კომპეტენციაში შემავალ აღწერილობას/ფუნქციებს.** სკოლის დებულებაში, პერსონალის მართვის წესში და შრომით ხელშეკრულებებში ექიმის ფუნქციები სხვადასხვანაირადაა გაწერილი. იგივე პრობლემა შეეხება ექთნის ფუნქციებს, ფსიქოლოგისა და სპეც. მასწავლებლის ფუნქციებს. კერძოდ, პერსონალის შიდა პოლიტიკის მართვის წესის მე-18 მუხლი და სკოლის დებულების მე-11 მუხლი განსაზღვრავს სკოლის ექიმის სამუშაოს აღწერილობას/ფუნქციებს. ამ დოკუმენტებში **აღწერილია ექიმის სულ ათიოდე ფუნქცია და ეს ფუნქციები სრულად არ მოიცავს** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. მე-3 მუხლით განსაზღვრულ **ექიმის ფუნქციების აღწერილობას.** მაგ. ექიმის შემთხვევაში სკოლის დებულებაში და პერსონალის მართვის წესში გაწერილია მოქმედი კანონმდებლობით (ბრძანება #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ.) განსაზღვრული ექიმის შემდეგი ვალდებულება - ექიმმა განახორციელოს მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული საქმიანობა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესი, მავნე ჩვევების დაძლევა, პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული საკითხები, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მათ შორის მოზარდთა რეპროდუქციული

ჯანმრთელობა, ნაადრევი ქორწინების რისკები და სხვა. ასეთი ფუნქცია ექიმთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში არ არის მითითებული.

ასევე, სკოლის მიერ ექთანთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში სრულად არ არის გაწერილი ბრძანება #41/ნ/01-23/ნ მე-4 მუხლით გათვალისწინებული ექთნის ფუნქცია-მოვალეობები. მაგ. ხელშეკრულებაში არ არის გაწერილი ექთნის მოვალეობა, რომ საჭიროების შემთხვევაში ექთანი დაეხმაროს ქრონიკული დაავადების მქონე მოსწავლეებს საჭირო პროცედურების ჩატარებაში და სხვა.

შესაბამისად, ექიმისა და ექთნის ფუნქციები, რომლებიც შრომითი ხელშეკრულებებშია გაწერილი, არ შეესაბამება მოქმედი მარეგულირებელი ნორმების მოთხოვნებს.

რაც შეეხება სპეც. მასწავლებლისა და ფსიქოლოგის ფუნქცია-მოვალეობებს. ფსიქოლოგთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში არ იყო გაწერილი - იღებდა თუ არა ფსიქოლოგი მონაწილეობას სსსმ მოსწავლის ინდ. სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში, მაშინ როცა სკოლის დებულებაში და პერსონალის მართვის წესში ასეთი ვალდებულება დაკისრებული აქვს ფსიქოლოგს. სკოლას ექსპერტებისაგან მიეცა რჩევა სკოლის დებულებაში, პერსონალის მართვის წესში და შრომით ხელშეკრულებაში გაწერილი სკოლის პერსონალის (სკოლის ფსიქოლოგის) ფუნქციები ერთმანეთის იდენტური ყოფილიყო. გარდა ამისა, სკოლის დებულებაში და პერსონალის მართვის წესში გაწერილი სპეც. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები განსხვავებულად იყო ფორმულირიებული ვიდრე მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში. **სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა - და სკოლის ფსიქოლოგისა და სპეც. მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები სხვადასხვა სასკოლო დოკუმენტში - სკოლის დებულებაში, პერსონალის მართვის წესში და შესაბამის შრომით ხელშეკრულებებში ერთმანეთის იდენტურად გაიწერა. სკოლამ წარმოადგინა ახალი შრომითი ხელშეკრულებები ფსიქოლოგთან და სპეც. მასწავლებელთან (16.01.2026წწ.), სადაც მათი ფუნქცია-მოვალეობები სკოლის დებულებისა და პერსონალის მართვის წესის იდენტურადაა გაწერილი.**

სკოლას ჰქონდა ხარვეზი სკოლის მიერ მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში გაწერილ სკოლის ექიმისა და ექთნის ფუნქციებში, რომლებიც არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებულ სკოლის ექიმისა და ექთნის

სამუშაოს აღწერილობას. **სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელშიც მითითებულია არსებული ხარვეზის გამოსწორების შესახებ.** წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულება. კერძოდ ექიმთან და ექთანთან სკოლამ გააფორმა ახალი შრომითი ხელშეკრულებები (16.01.2026წ.), რომელშიც დეტალურადა გაწერილი ექიმის და შესაბამისად ექთნის ფუნქცია-მოვალეობები #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. ბრძანების მე-3 და მე-4 მუხლების შესაბამისად.

არგუმენტირებულ პოზიციამდე ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის და შესაბამისი მტკიცებულების წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორის შეფასება შეიცვალა და ინდიკატორი შეფასდა, როგორც „შეესაბამება".

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.**

სკოლის დებულებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციებსა და პასუხისმგებლობების განაწილებაში ჩანს პროცესების საგანმანათლებლო საქმიანობაზე ორიენტირება და ხელის შეწყობა. სკოლამ ასევე წარმოადგინა კათედრისა და დამრიგებლის დებულებები. დირექტორის ბრძანებებით დელეგირებულია უფლებამოსილებები ცალკეულ დასაქმებულებზე (მაგ: ელექტრონული ჟურნალის მონიტორინგზე, მოსწავლეთა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა). უფლებამოსილების დელეგირება და სტრუქტურული ერთეულების მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება ხელს უწყობს სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა პერსონალის შიდა პოლიტიკის მართვის წესი (დამტკიცებულია ს/დირექტორის ბრძანება #6-48 16.09.2024წ.), რომელშიც მოცემულია პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და ფუნქციები. სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქტივობების განხორციელებაზე მითითებული პასუხისმგებელი პირებიც მიანიშნებს იმას, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. აღნიშნული დადასტურდა მასწავლებლებთან ექპერტების გასაუბრების დროსაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შპს საერთაშორისო ქართული სკოლა „ათინათის“ დებულება
- სკოლის დირექტორის ბრძანება #6-18 02.08.2024წ. სკოლის დებულების დამტკიცების შესახებ
- სკოლის დირექტორის ბრძანება #6-47 15.09.2025წ. სკოლის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ • პერსონალის შიდა პოლიტიკის მართვის წესი (დამტკიცებულია ს/დირექტორის ბრძანება #6-48 16.09.2024წ.),
- სკოლის სტრუქტურა და საშტატო განრიგი - დამტკიცებულია დ/ბრძანებით 15.09.2025წ.
- შრომითი ხელშეკრულებები
- დამრიგებლის დებულება
- პასუხისმგებელი პირების შესახებ ბრძანებები
- **შრომითი ხელშეკრულება ექიმთან #4-01 16.01.2026წ.**
- **შრომითი ხელშეკრულება ექთანთან #4-02 16.01.2026წ.**
- **შრომით ხელშეკრულება სპეც. მასწავლებელთან #4-03 16.01.2026წ.**
- **შრომითი ხელშეკრულება ფსიქოლოგთან #4-04 16.01.2026წ.**

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, ადამიანური რესურსების მართვის სასკოლო მექანიზმების და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის

ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, შრომითი ურთიერთობის პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები. შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრავს დასაქმებულისა და დამსაქმებლის უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესი არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი, რაც დასტურდება ხელმოწერით.

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #6-27 12.08.2024წ. ათინათის სხვადასხვა მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ - (პერსონალის შიდა პოლიტიკის მართვის წესი, პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, ბიბლიოთეკის მუშაობის წესი, საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის სტარტეგიები, კანონიერი უფლებების დაცვის წესი, სამედიცინო დახმარების წესი, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი). **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მისი დებულება. სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ განხორციელებული აქტივობების ამსახველი მტკიცებულებები (საგაკვეთილო დასწრების ფორმები, ჩატარებული კითხვარები და მათი ანალიზი). თუმცა წარმოდგენილი მასწავლებლის კითხვარების შინაარსი ნაკლებად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მკაფიოდ გამოიკვეთოს მათი საჭიროებები.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით ისინი მიმართავენ სხვადასხვა ღონისძიებებს: მაგ. მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში ხდება კათედრის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება. თუმცა სკოლა არ აწარმოებს მასწავლებელთა ჩანაცვლების ჟურნალს.

სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული „პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ და სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის დანერგვას, თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა „მასწავლებლის/თანამშრომლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესი“, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით.

ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის საკონკურსო დოკუმენტაცია, რომლითაც დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, დასაქმების გვერდზე ვაკანსიის გამოქვეყნებისას განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. წარმოდგენილია ჩატარებული მასწავლებლის კონკურსის მასალები, რომელიც გამოცხადებული იყო teacherjobs.geზე. მაგ. ექიმის კონკურსი სკოლამ ჩაატარა 2025 წლის ზაფხულში. ექსპერტებმა დაათვალიერეს შესაბამისი დოკუმენტაცია: დირექტორის ბრძანება #6-15 20.06.2025წ. ექიმის ადგილის შესავსებად ღია კონკურსის გამოცახდების, კანდიდატთა განაცხადების მიღებისა ვადებისა და პირობების განსაზღვრის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სკოლამ კონკურსის გამოცახდების პირობების განსაზღვრა „მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის ჩატარების წესის“ შესაბამისად. დირექტორის ბრძანება #6-16 20.06.2025წ. ექიმის ვაკანტური ადგილის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #1 22.07.2025წ. (დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გასაუბრების ეტაპისათვის კანდიდატების გადარჩევა). საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2 23.07.2025წ. (ღია კონკურსში კანდიდატის შერჩევა). დირექტორის ბრძანება სკოლის ექიმის პოზიციაზე პირის დანიშვნის შესახებ. ამასთან, გამოიკვეთა რომ სკოლის ურთიერთობა აპლიკანტებთან, კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმირება და სხვა წარმოებს სატელეფონო საუბრების მეშვეობით.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო სკოლის პერსონალის პირად საქმეებს დაკავებული პოზიციების მიხედვით. ექსპერტების მიერ გადამოწმდა სკოლის ბაზაში არსებული თანამშრომლების მონაცემები. შედეგად დადგინდა, რომ **2020** წლის

მაისის შემდეგ სკოლაში დასაქმებული ყველა პირის პირად საქმეში განთავსებულია უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. წინა არაგეგმიური მონიტორინგის დროს სკოლაზე გაცემული იყო რეკომენდაცია - მასწავლებლებმა უზრუნველყონ შესაბამისი ცნობების წარმოდგენა წერილში მითითებული ვადების გათვალისწინებით. აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია კონკურსის დროს სკოლის ურთიერთობა აპლიკანტებთან წარიმართოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მათ შორის ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ კონკურსში მონაწილე ნებისმიერ აპლიკანტს მიეწოდოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რაც უფრო მეტ გამჭვირვალობას შესძენს კონკურსს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას დადგენილი აქვს საკუთარი საკვალიფიკაციო მოთხოვნები ,,პერსონალის შიდა პოლიტიკის მართვის წესში", სადაც გათვალისწინებულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დოკუმენტით განსაზღვრულია დირექტორის, აღმასრულებელი დირექტორის, დირექტორის მოადგილის, დაწყებითი საფეხურის მენეჯერის, საქმისწარმოების მენეჯერის, ბუღალტრის, ექიმის, ექთნის, ფსიქოლოგის, სპეციალური მასწავლებლის, ბიბლიოთეკარის, უსაფრხოებისა და საზოგადოებრივ წესრიგზე პასუხისმგებელი პირის, მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებლის, დამლაგებლის, მზარეულის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტისას გაეცნო თანამშრომელთა ბაზას. სკოლაში დასაქმებულია 42 თანამშრომელი, მათგან 24 მასწავლებელია (18 უფროსი), 1 უფროსი სპეციალური მასწავლებელი, 3 მოწვეული მასწავლებელი (საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 9 საათს), 3 გახანგრძლივებული ცვლის მასწავლებელი. სკოლას ჰყავს დირექტორი, დირექტორის მოადგილე (2), დაწყებითი საფეხურის მენეჯერი, ბუღალტერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, ფსიქოლოგი (იმავდროულად არის სპეციალური მასწავლებელი), საქმის წარმოების მენეჯერი, ექთანი, მზარეული, მზარეულის დამხმარე, დარაჯი, დამლაგებელი. სკოლის ბიბლიოთეკარის, ექიმისა და ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

პირადი საქმეებისა და შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებული პირებიდან სკოლაში მოქმედი კლუბის მასწავლებლებს არა აქვთ მასწავლებლის სტატუსი. აღნიშნული შესაბამისობაშია სკოლის მიერ დადგენილ

საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. რაც შეეხება ექიმის, ექთნის, სპეც. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ისინი შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს და ამ პოზიციებზე შერჩეული პირების კვალიფიკაციაც შესაბამისია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. თანამშრომლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე. კათედრებს სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული აქვთ სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს. სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება, რომელთა ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში გამოიკვეთა დასაქმებულთა ორგანიზაციული კულტურა და გუნდური მუშაობა. მასწავლებლებთან ექსპერტების გასაუბრებისას გამოიკვეთა მონაწილოებითი და გუნდური მუშაობის პრაქტიკა სკოლაში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.**

სკოლის შინაგანაწესის მე-18 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულთა მიმართ წახალისების ფორმები:

- მადლობის გამოცხადება; საპატიო სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.

სკოლა იყენებს წახალისების მექანიზმებს კერძოდ: დასაქმებულებს სკოლის დირექტორის ბრძანებით გამოეცხადათ მადლობა, ასევე რიგ შემთხვევებში გაცემულია ფულადი პრემია. 2025-2026 ს/წ სამოქმედო გეგმაში გაწერილი ერთ-ერთი

აქტივობა ითვალისწინებს თანამშრომელთა წახალისების სისტემის დახვეწას, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა ფორმით განხორციელდება აღნიშნული. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ღია კონკურის ჩატარების ამსახველი ბრძანებები და საკონკურსო კომისიის ოქმი;
- შრომითი ხელშეკრულებები; • დასაქმებულთა პირადი საქმეები.
- წახალისების შესახებ ბრძანებები.
- ვაკანსიები გვერდი https://teacherjobs.ge/

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება. ○ შესაძლებელია
მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები

სკოლაში შექმნილია „პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით #6-27 12.08.2024წ.). დოკუმენტის მიხედვით, შეფასების ინსტრუმენტია სისტემატიზებული შეფასების კითხვარები, რომელიც მიმართულია შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის გასაუმჯობესებლად. პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სკოლის დირექცია, რომელიც ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას და ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს. დოკუმენტის მე-4 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის საქმიანობის შეფასების სამიზნე ნიშნულები - კერძოდ, პერსონალმა უნდა განახორციელოს მასზე დაკისრებული უფლება-მოვალეობები და კალენდარული წლის განმავლობაში დააგროვოს ქულათა ზღვრული რაოდენობა: მასწავლებლის შემთხვევაში - 70%, ტექნიკური პერსონალის შემთხვევაში - 60%. პერსონალი კითხვარს ავსებს წელიწადში ერთხელ - სასწავლო წლის ბოლოს. საქმიანობის წლიური ანგარიშები ივსება წელიწადში ორჯერ. პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას პროფესიული განვითარების მხარდაჭერისათვის და სხვა მიზნებითაც.

სკოლის პერსონალმა შეავსო კითხვარები 2024-2025 ს/წლის ბოლოს. სკოლამ წარმოადგინა შევსებული კითხვარები და პედაგოგთა კითხვარების შეფასების ანალიზი 25.06.2025წ.. დოკუმენტაციაში დაფიქსირებულია, რომ კითხვარების ანალიზმა გამოავლინა მასწავლებელთა საჭიროებები: 1. სასწავლო პროცესის დაგეგმვა; 2. დიფერენცირებული სწავლება; 3. საგნობრივი კომპეტენციების გაძლიერება და სხვა. ექპერტებმა შეისწავლეს კითხვარები და დაადგინეს, რომ არსებული კითხვები ნაკლებად იძლევა საჭიროებების გამოვლენის შესაძლებლობას. კითხვები საჭიროებს დაზუსტებას/დაკონკრეტებას, რათა შესაძლებელი გახდეს მასწავლებელთა საჭიროებების გამოკვეთა.

რჩევა #1: მიზანშეწონილია მასწავლებელთა კითხვარები ისე იყოს შედგენილი, რომ კითხვები აქცენტირებული იყოს საჭიროებების ზუსტ იდენტიფიცირებაზე.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მისი დებულება. სკოლაში დანერგილია გაკვეთილზე ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომლის შემდეგ ივსება გაკვეთილზე დაკვირვებისა და პედაგოგის შეფასების ფორმა. სკოლამ წარმოადინა ხარისხის ჯგუფის აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები - <u>საგაკვეთილო დასწრების მასალები</u> სხვადასხვა საგნისა და საფეხურის მასწავლებლებთან. მასწავლებელი ფასდება სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და ეძლევა განმავითარებელი უკუკავშირი. **დასწრების შეფასების ფორმაში მითითებულია დაკვირვების ობიექტები, როგორიცაა საკლასოს მენეჯმენტი, დაგეგმვა და შეფასება, ახალი რესურსის შექმნა/გამოყენება,**

ინოვაციური მეთოდების გამოყენება და სხვა. თუმცა საგაკვეთილო დასწრების მასალებით ნაკლებად ჩანს, რომ ეს საგაკვეთილო დასწრებები ფოკუსირებულია რაიმე კონკრეტულ მიმართულებაზე . შესაბამისად, მსგავსი ზოგადი მიდგომები (არაფოკუსირებული და ზოგადი ხასიათის საგაკვეთილო დაკვირვება) ართულებს მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების დადგენას.

სკოლამ ასევე წარმოადგინა მასწავლებელთა ურთიერთდასწრების მასალები. კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრების შედეგები განიხილება კათედრის სხდომაზე.

სკოლამ ასევე წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პორტფოლიო, რომელშიც გათვალისწინებულია კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების განრიგი კონკრეტული მასწავლებლების და დასწრების სავარაუდო თარიღის მითითებით. კათედრის პორტფოლიოში ასევე აღნიშნულია მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებელთა მონაწილეობა ტრენინგებში-პროგრამებში-პროექტებში, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა ტრენინგ-პროგრამაში ჩაერთვება ესა თუ ის მასწავლებელი არსებული საჭიროებიდან გამომდინარე.

რჩევა #2: მიზანშეწონილია მეტი კონკრეტული მექანიზმები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების დასადგენად. მაგ. ისეთი სადამკვირვებლო ფორმების შემუშავება და განხორციელება, რომელიც მკაფიოდ და ფოკუსირებულად გამოავლენს მასწავლებლის პროფესიულ საჭიროებებს, მათ შორის არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ საერთო სასკოლო საქმიანობის თვალსაზრისით.

პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად **(**მუხლი **8)** განსაზღვრულია, რომ უკუკავშირი დაფუძნებულია კოლეგების მხარდაჭერასა და გუნდურ მუშაობაზე, მიზნობრივ დაგეგმვასა და პროცესების მონიტორინგსა და რეფლექსიაზე.

ამასთან, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი**,** პერიოდულად უნდა მართავდეს შეხვედრებს სკოლის პერსონალთან (მასწავლებლებთან კათედრის ჭრილში, ასევე დირექციასთან და დამატებით პერსონალთან). დადგენილია, რომ აღნიშნულ შეხვედრებზე უნდა მოხდეს საჭიროებების გამოვლენა, მიმდინარე საქმიანობის ანალიზი და სამომავლო გეგმების განხილვა. მასწავლებლებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს ასეთი შეხვედრების შესახებ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად

სკოლის დირექციამ პედაგოგთა კითხვარების შეფასების ანალიზის საფუძველზე 2025-2026 ს/წლისათვის შეიმუშავა რეკომენდაციები: 1. მენტორობის სისტემის დანერგვა. 2. დიფერენცირებული მიდგომების ტრენინგები. 3. რესურსების და მასალების გაზიარების სისტემა. რეკომენდაციების საფუძველზე დირექციამ შეიმუშავა მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭრის გეგმა: 1. პედაგოგის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება გარკვეულ სფეროებში. სკოლამ წარმოადგინა 20252026 ს/წ სამოქმედო გეგმა, რომელშიც დასახულია შემდეგი ამოცანა - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება. ამ ამოცანის შესასრულებლად მიმდინარე სასწავლო წელს სკოლამ დაგეგმა შემდეგი აქტივობები: 1. თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, 2. შიდა ტრენინგების დამკვიდრება წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით, 3. გაკვეთილებზე დასწრება და მასწავლებლებისათვის უკუკავშირის გაზიარება. სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების ნაწილი სკოლას განხორციელებული ჰქონდა ვიზიტის პერიოდში. კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა მომსახურების ხელშეკრულება #7-01 20.01.2025წ. რომლის საგანია შემსრულებლის მიერ ტრენინგების ჩატარება მასწავლებლებთან შემდეგ თემებზე: საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოს შექმნა ესგ-ს სტანდარტებზე დაყრდნობით, განმავითარებელი შეფასებისა და დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტების გამოყენება სასწავლო პროცესში, შეფასების რუბრიკები შემაჯამებელი და შემოქმედებითი ტიპის დავალებებისათვის. ტრენინგები ჩატარდა მიმდინარე სასწავლო წელს. სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში **2025-2026** სასწავლო წლის განმავლობაში გათვალისწინებული აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები**,** რომელთა შორისაა პედაგოგთა საჭიროებებისა და მათი პროფესიული განვითარებისათვის სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა.

სკოლამ წარმოადგინა ხარისხის მართვის გუნდის ანგარიში კვლევის შედეგებზე. კვლევის მიზანი იყო სკოლაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება, გამოყენებული იყო ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობის მეთოდი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა სასწავლო კურიკულუმის განახლების საჭიროება, შეფასების სისტემის დახვეწა, თანამედროვე სასწავლო რესურსების და ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროება. სკოლამ შეიმუშავა რეკომენდაცია მასწავლებლების პროფესიული განვითარების მიმართულებით და დაიგეგმა მენტორინგი და შიდა გამოცდილების გაზიარება.

დასაქმებულთა პირადი საქმეებში განთავსებულია პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სერტიფიკატები, ცნობები, ტრენინგის გავლის დამადასტურებელი მტკიცებულებები.

სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა, რომელიც შედგენილია ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ კვლევის შედეგების გათვალისწინებით. გეგმა ითვალისწინებს მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერის

ღონისძიებებს: 1. კურიკულუმის გეგმების შედგენა, 2. დიფერენცირებული სწავლება, 3. სწავლების მრავალფეროვანი სგტარტეგიები, 4. მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები. ამ მიმართულებით გეგმით გათვალისწინებულია ტრენინგების ჩატარება, აქტიური სწავლების მეთოდების დანერგვა პრაქტიკაში, შეფასების რუბრიკების შექმნა. აღნიშნული აქტივობები შეესაბამება კვლევის შედეგად გამოკვეთილ მასწავლებელთა საჭიროებებს, რაც მოსწავლეთა კვლევის შედეგებითაც დასტურდება. **ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად კარიერული ზრდის თვალსაზრისით ძირითადად განსაზღვრულია ტრენინგებში მონაწილეობა, ურთიერთგამოცდილების გაზიარება, პროფესიული განვითარების მიზნით, პერსონალის მიერ შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება ხარისხის ჯგუფის ხელშეწყობით. მასწავლებელები ახორციელებენ გაკვეთილზე ურთიერთდასწრებას, რომლის შედეგადაც მასწავლებელს ეძლევა უკუკავშირი. კათედრის წევრები საკუთარ გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ კათედრის სხდომებზე.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლის მიერ დამტკიცებულ პერსონალის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია ახალი თანამშრომლის მიღების შემთხვევაში განსახორციელებელი ღონისძიებები. კერძოდ: სკოლა თანამშრომელს აცნობს და გადასცემს სკოლის შინაგანაწესს, განუმარტავს ფუნქცია-მოვალეობებს, გადასცემს თანამდებობრივ ინსტრუქციას და აცნობს უსაფრთხოების წესებს. ახალმიღებულ თანამშრომელს აქვს ყველა საშუალება ისარგებლოს სკოლის ნებისმიერი რესურსით, იგი ეცნობა სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებს და თემის სპეციფიკას, რაც ხელს უწყობს მის სწრაფ ინტეგრაციას სასკოლო გარემოში. სკოლაში დამკვიდრებულია ურთიერთთანამშრომლობის, ურთიერთდახმარების და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. სკოლამ შეიმუშავა „ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი“ (დამტკიცებულია ს/დირექტორის ბრძანება #6-57 28.11.2024წ.). აღნიშნული წესით სკოლამ დეტალურად განსაზღვრა როგორც თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, ისე ადაპტაციის ეტაპზე სხვა თანამშრომელთა ვალდებულებები. კერძოდ, მე-5 მუხლით განსაზღვრულია ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს

სკოლა ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით. მე-6-7 მუხლებით განსაზღვრულია კათედრის თავმჯდომარის, დირექციის და ადმინისტრაციის ფუნქციები ადაპტაციის მიმართულებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის პოლიტიკის შესაბამისად, პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანსა და ამოცანას პერსონალის ინოვაციების წახალისება წარმოადგენს**.** მე-**9** მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია, რომ პერსონალის მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებისაკენ და პროფესიულ განვითარებაში პერსონალის დაინტერესებულობის გაზრდისკენ. აქვე განმარტებულია, რომ სკოლა უფლებამოსილია პერსონალის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები**:** მადლობის გამოცხადება და ფულადი პრემიის გაცემა. სკოლის შინაგანაწესით დადგენილა წახალისების ფორმები, სადაც ასევე გათვალისწინებულია: საპატიო სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. სასკოლო პრაქტიკაში წახალისებულია დასაქმებულთა ინიციატივები. ამ მიზნით გამოცემულია დირექტორის ბრძანებები მადლობის გამოცხადებისა და ფულადი პრემიის გაცემის შესახებ. მაგ. ბრძანება #6-19 23.06.2025წ. ისტორიისა და მოქალაქეობის მასწავლებლისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ (პედსაბჭოს ოქმის საფუძველზე).

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- „პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ (დამტკიცებული დირექტორის ბრძანებით #6-27 12.08.2024წ.)
- პერსონალის შიდა პოლიტიკის მართვის წესი - დ/ბრძანება #6-27 12.08.2024წ.
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- მომსახურების ხელშეკრულება #7-01 20.01.2025წ.

- ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის სხდომის ოქმი
- 2025-2026 ს/წლის სამოქმედო გეგმა;
- „ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი“ (დამტკიცებულია ს/დირექტორის ბრძანება #6-57 28.11.2024წ.).
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების შევსებული ფორმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლას **2024** წლის **12** აგვისტოს **N6-27** ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა**,** რომლითაც გათვალისწინებულია ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმების განხორციელება. აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შეფასება. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი შაბლონური ხასიათისაა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს აკლია კონკრეტული მექანიზმების აღწერა.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით 2024-2025 წლებში სკოლას განხორციელებული აქვს შემდეგი ღონისძიებები: პერსონალის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის გამოკითხვა. საჭიროებების კვლევა, რომელშიც ჩართული იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები - მშობლები, მოსწავლეები და მასწავლებლები. კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ფოკუს ჯგუფი და კითხვარები, რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად დაიგეგმა შესაბამისი ინტერვენციები, რომელბიც გაწერილია მიმდინარე ს/წლის სამოქმედო გეგმაში. გამოკითხვა მიმართული იყო შემდეგი მიმართულებებით: სკოლაში არსებული გარემო, კმაყოფილების განცდა, საგაკვეთილო პროცესი, სასკოლო კომუნიკაციის ფორმები, ადმინისტრაციასთან ურთიერთობა და ა.შ.

ასევე მშობლებთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ჩატარდა კვლევა ფსიქოლოგიური და ფიზიკური უსაფრთხოების შესახებ. 2025-2026 ს/წ I სემესტრში სხვადასხვა საფეხურის კლასებში დაიგეგმა და განხორციელდა რიგი ღონისძიებები ბულინგისა და ძალადობის თემებთან დაკავშირებით, რისი ამსახველი მასალებიც სკოლამ წარმოადგინა სადამრიგებლო პორტფოლიოების სახით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი ახორციელებს პროცესების მონიტორინგს და პრევენციულ სამუშოებს, რის შესახებაც წარმოდგენილია შესაბამისი ანგარიში. ასევე წარმოდეგნილია სკოლის დირექტორის ანგარიში 2024-2025 ს/წელს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.

სკოლაში მიმდინარეობს ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობა - საგაკვეთილო დასწრებები, ასევე ურთიერთდასწრებები და საგნობრივი კათედრის მუშაობა პროფესიული განვითარების კუთხით. სკოალმ წარმოადგინა შესაბამისი მასალები.

მასალების შესწავლით იკვეთება, რომ სკოლაში დაწყებულია პროცესული მიდგომა ხარისხის უზრუნველსაყოფად - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება, თუმცა ჩანს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები უფრო არასისტემატიზირებულად ხორციელდება. ექსპერტთა ჯგუფს არ ეძლევა შესაძლებლობა ზუსტად შეაფასოს რამდენად ხდება საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად, რადგან ხარისხის

უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს სრულად არ ახლავს მითითებული დანართები ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, განვითარება, სწავლის ხარისხის შემოწმების წესი და პროცედურები), რომელიც საშუალებას მოგვცემდა სრულად შეგვეფასებინა პროცესების მიმდინარეობა სკოლის მიერ დაგეგმილი რეგულაციების შესაბამისად. **სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურული ერთეულების/პირების საქმიანობის შიდა შეფასება - პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი და ამ წესის მიხედვით განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები.**

რჩევა: საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პროცესში პროცესული მიდგომისა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრულყოფის მიზნით, მიზანშეწონილია სკოლამ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში დეტალურად აღწეროს, როგორ და რა მექანიზმებით ახორციელებს დაგეგმვის, განხორციელების, შემოწმებისა და განვითარების პროცესებს, როგორც ეს არის აღწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასების წესში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის შინაგანაწესში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში და სტრატეგიული დაგეგმვის დოკუმენტში აღწერილია მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. სკოლის მმართველობით პროცესში მოიაზრება სკოლის საქმიანობის დაგეგმვა და კონტროლი. მასში იგულისხმება სხვადასხვა პროცესების დაგეგმვა, მისი განხორციელების მონიტორინგი და შეფასება (სტრატეგიული დაგეგმვა, წლიური დაგეგმვა და ხარისხის უზრუნველყოფა). ძირითად პროცესში - კურიკულუმის განვითარება და სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა, ხოლო დამხმარე პროცესები ხელს უწყობს ძირითადი პროცესების წარმართვას - სასწავლო პროცესის სრულფასოვან განხორციელებას. ასევე განსაზღვრულია ამ პროცესების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლამ წარმოადგინა „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი (დამტკიცებულია ს/დირექტორის ბრძანებით #6-27 12.08.2024წ.). შინაგანაწესი ითვალისწინებს დასაქმებულთა და მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში დისციპლინური გადაცდომების განხილვას სკოლის დირექტორისათვის მიმართვის პროცედურით. იმ შემთხვევაში, თუ სკოლის დირექტორის მიერ მოსწავლის, მშობლის ან/და პერსონალის საჩივრის განხილვის შედეგი არ არის დამაკმაყოფილებელი, დოკუმენტის შესაბამისი მუხლები განსაზღვრავს მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის, ასევე სკოლის პერსონალის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრების უფლებას - შესაბამისი რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ან/და სასამართლოში. სკოლაში შემუშავებულია თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლაში შექმნილია ასევე დისციპლინური კომიტეტი, სკოლამ წარმოადგინა კომიტეტის შექმნის ბრძანება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

   სკოლის თანამშრომლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომელშიც გაწერილია სკოლის შიდა რეგულაციები, სკოლის ტერიტორიაზე ქცევის ზოგადი წესები, დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და მათზე რეაგირების მექანიზმები. შინაგანაწესში ცალკეა გაწერილი მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი, ცალკეა - მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება.

   თანამშრომელთა უფლებები და ვალდებულებები გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ხოლო მოსწავლის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები გაწერილია მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. დამრიგებლები მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აწყობენ

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეთა უფლებებისა დაწესების გაცნობის მიზნით. თანამშრომლები უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას იღებენ ხელშეკრულების პირობების, სკოლის შინაგანაწესის გაცნობით.

სკოლამ ასევე წარმოადგინა „მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია ს/დირექტორის ბრძანებით #6-15 01.09.2023წ. დოკუმენტი ითვალისწინებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის ეფექტური განხორციელებისათვის შექმნას მოსწავლეთა უფლებების დაცვის შემსწავლელი კომისია სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, დამრიგებლებისა და ფსიქოლოგის შემადგენლობით. კომისიას ხელმძღვანელობისათვის განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. კომისია ვალდებულია მოსწავლის უფლებების დარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მოახდინოს სათანადო რეაგირება. აღნიშნული დოკუმენტი შაბლონური ხასიათისაა და ნაკლებად ასახავს სკოლის სპეციფიკას. ამასთან, **სკოლამ ვერ წარმოადგინა ასეთი კომისიის ფუნქციონირების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.**

რჩევა: მიზანშეწონილია მოსწავლეთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტი იყოს უფრო კონკრეტული და შეიცავდეს მკაფიო რეგულაციებს მოსწავლეთა უფლებების დაცვის კუთხით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - დ/ბრძანება #6-04 2024 წლის 11 მარტი
- მოსწავლის უფლებების დაცვის მიზნით გასაჩივრების წესი;
- სკოლის შინაგანაწესი
- „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის“ დოკუმენტი (დამტკიცებულია ს/დირექტორის ბრძანებით #6-27 12.08.2024წ.)
- „მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი (დამტკიცებულია ს/დირექტორის ბრძანებით #6-15 01.09.2023წ.)

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები

სკოლის მიერ სასკოლო საზოგადოების ინფორმირება ხდება სხვადასხვა საშუალებებით. სკოლის ფოიეში გამოკრულია შინაგანაწესი. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც თავსდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ძირითადად ინფორმირება ხდება უშუალო კონტაქტით. სასწავლო წლის განმავლობაში დამრიგებლები მართავენ მშობელთა კრებებს, სადაც აცნობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ დოკუმენტებს, სასკოლო სასწავლო გეგმას, შინაგანაწესს, აწვდიან ინფორმაციას სასწავლო წლის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების, პროექტებისა და ექსკურსიების შესახებ, იხილავენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ პრობლემებს და სთავაზობენ პრობლემის გადაჭრის გზებს. სასწავლო წლის განმავლობაში მშობელთან კომუნიკაციისთვის სკოლა აგრეთვე ეფექტურად იყენებს სკოლის ელექტრონულ ჟურნალს **Schoolbook**-ს.
სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის სტრატეგიები“ - დამტკიცებული ს/დირექტორის ბრძანებით #6-27 12.08.2024წ. დოკუმენტი განსაზღვრავს შიდა და გარე საკომუნიკაციო არხებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სკოლის საქმიანობის გაუმჯობესებაში საზოგადოების როლის გაზრდისათვის.
სკოლაში მართვის პროცესებთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საზოგადოების უკუკავშირის მიღების მიზნით სკოლას ჩატარებული აქვს კმაყოფილების კვლევა მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებში, რომლის მტკიცებულებებიც წარმოადგინა ვიზიტის დროს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - პედაგოგიური საბჭო და საგნობრივი კათედრები. მათი ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში და კოლეგიური ორგანოების დებულებებში. ყველა პედაგოგი სარგებლობს თანაბარი ხმის უფლებით. კათედრები მუშაობენ წინასწარ განსაზღვრული სამუშაო გეგმის მიხედვით. კოლეგიური ორგანოების წევრები აფიქსირებენ საკუთარ აზრს და შესაძლებლობა აქვთ გასცენ სხვადასხვა რეკომენდაციები. მტკიცებულების სახით სკოლამ წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმი #2 08.01.2025წ. სადაც დღის წესრიგით განსაზღვრულია 2024-2025 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანა, მასწავლებლების მიერ ელექტრონულ ჟურნალში მუშაობის შეფასება, სკოლის რევიზირებული ფილოსოფიის განხილვა. ასევე სკოლამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დებულება;
- კათედრის დებულება;
- კათედრის ოქმები

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ტერიტორია არის შემოსაზღვრული. ეზოს მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია რკინის კარები. სკოლის წარმომადგენლებმა და მოსწავლეებმა პირისპირ გასაუბრების დროს განმარტეს, სარგებლობენ ერთადერთი შესასვლელით - ეს არის სკოლის ეზოს ცენტრალური შესასვლელი. 2024 წლის ივლისში ექსპერტები სკოლაში ვიზიტის პერიოდში აღნიშნავდნენ, რომ სკოლის ეზოში შესვლა ასევე შესაძლებელი იყო სკოლის შენობის საპირისპირო მხრიდან სათადარიგო შემოსასვლელი კარით, საფეხმავლო ბილიკის საშუალებით, რომელიც მიუყვება მცირე ზომის ხევს, რამაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მოსწავლეების უსაფრთხოებას. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დავათვალიერეთ აღნიშნული სათადარიგო რკინის კარი, რომელიც იყო დაკეტილი იმგვარად, რომ მოსწავლეები ვერ ისარგებლებენ მისით.

<u>2024 წლის ივლისის ვიზიტის დროს</u> სკოლას არ ჰქონდა დამტკიცებული სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (2023 წლის 01 სექტემბრის N6-15 ბრძანებით დამტკიცებული) არ იყო შეთანხებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. <u>2025 წლის 11-12 დეკემბერს სკოლაში ვიზიტის პერიოდში</u> სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი #MES 4250000336415 26.03.2025წ. რომლითაც დასტურდება სამინისტროს თანხმობა სკოლა „ათინათის“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტის შესახებ - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და

სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით #6-12 28.03.2025წ. დამტკიცებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ დოკუმენტი სათანადო დანართებით.

2024 წლის ივლისის ვიზიტის დროს სკოლას არ ჰქონდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და არ იყო დამტკიცებული საგანგებო შტაბი (მიმდინარეობდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების პროცედურა). 2025 წლის 11-12 დეკემბერს სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა შეთანხმების წერილი 29.10.2024წ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან, რომლის მიხედვითაც სკოლა „ათინათის“ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეესაბამება საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ საქართველოს მთავრობის 2027 წლის 6 ოქტომბრის #452 დადგენილებით დამტკიცებული წესების მოთხოვნებს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით #6-51 02.10.2024წ. დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

სკოლას შემუშავებული აქვს შრომის უსაფრთხოების მართვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს რისკების შეფასებასა და მართვას, უბედური შემთხვევების მოკვლევის მექანიზმებს, საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუაციას, ინციდენტების კონტროლსა და სხვა. სკოლას დადებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სამსახურთან **(BSA).** სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება #180 07.11.2025წ. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების შესახებ.

შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სკოლამ 2024 წლის 4 ივლისს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. 2022 წელს სკოლა აღიჭურვა კვამლზე რეაგირების დეტექტორებით, ხოლო სკოლის შენობაში არსებული წვადი მასალისაგან დამზადებული ჭერი შეიცვალა ცეცხლგამძლე მასალით. სკოლას საჯაროდ გამოაკრა უსაფრთხოების ინსტრუქცია ხანძრის დროს. ასევე, **შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადების მიზნით სკოლამ 2024 წლის 8 ივლისს განცხადებით მიმართა შპს ,,რეალექსპერტს.“**

რაც შეეხება დასკვნებს შენობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, სკოლის განცხადებით აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ჭიანურდება მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. კერძოდ, სკოლის შენობაში განთავსებულია #211 ბაგა-ბაღი, რომელშიც მიმდინარეობს სარემონტო საუშაოები და მათ დასრულებამდე საექსპერტო ჯგუფი ვერ იძლევა დასკვნას

შენობის მდგრადობის შესახებ. ამის დასტურად სკოლამ წარმოადგინა წერილობითი დოკუმენტაცია, კერძოდ: 1. სკოლის წერილი (16.10. 2024წ.) ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსადმი, რომლითაც ითხოვს სკოლის შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების დროულად დასრულებას. 2. სკოლის განმეორებითი წერილი (19.02.2025წ.) ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსადმი. 3. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საპასუხო წერილი სკოლისადმი (25.08.2025წ). 4. სკოლის წერილი 12.08.2025წ. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი. **ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას არ წარმოუდგენია დასკვნა, არც ახალი მიწერილობა (2024 წლის შემდეგ) შესაბამის ორგანოებთან არც შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და არც სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ დასკვნის გამოთხოვის თაობაზე.**

სკოლას გათვალისწინებული აქვს წინა მონიტორინგის ვიზიტის დროს მიღებული რეკომენდაცია - სკოლას აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, ასევე სკოლას აქვს სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები". სკოლაში დამონტაჟებულია 11 ვიდეო სათვალთვალო კამერა (4 გარე და 7 შიდა პერიმეტრზე). სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის ბრძანებით (#6-06 13.01.2025წ.) დამტკიცებული ვიდეო-მონიტორინგის განხორციელების წესი.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილი იყო სამუშაო მაგიდით მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით.

სკოლას ჰქონდა ხარვეზი - არა აქვს შენობის მდგრადობის დასკვნა. ასევე უფლებამოსილი უწყების დასკვნა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, რომ დასკვნების მიღების საკითხი ჭიანურდება ბაგა-ბაღში მიმდინარე რემონტის გამო. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერილია შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა - მოიპოვოს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და დასკვნა სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ 20.12.2026 წლამდე.

არგუმენტირებულ პოზიციამდე ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც არ შეესაბამება, შესაბამისობის გეგმის წარმოდგენის შემდეგ ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება".

რეკომენდაცია: სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება და დათქმულ ვადებში - 20.01.2026-20.12.2026წწ. უზრუნველყოს დასკვნების მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და სახანძრო უსაფრთოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ინდიკატორი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, სკოლას ჰყავს ექიმი და ექთანი, სკოლას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების წესი“ (დამტკიცებულია დ/ბრძანებით #6-49 16.09.2025წ.). სკოლას დადგენილი აქვს დერეფნებში მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმით გათვალისწინებულია დარეკვა 112–ზე და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება, რისი შესრულებაც დადასტურდა სამედიცინო შემთხვევების ჟურნალის დათვალიერების შედეგად. 2024 წლის ივლისის მონიტორინგის დროს კაბინეტის სამედიცინო აღჭურვილობას აკლდა კისრის ფიქსატორი და ინჰალატორი. 2025 წლის 11-12 დეკემბრის ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სამედიცინო კაბინეტი და ადგილზე ნახეს კისრის ფიქსატორი და ინჰალატორი (სკოლამ წარმოადგინა კისრის ფიქსატორისა და ინჰალატორის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია). სკოლის კაბინეტი აღჭურვილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად.

2024 წლის ივლისის მონიტორინგის დროს სკოლას არ ჰყავდა ექიმი და ჰყავდა ექთანი (№41/ნ/01-23/ნ, 21.03.2022წ., ბრძანებით დადგენილი ნორმების მიუხედავად - ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, დასაშვებია სკოლის ექიმი ჩანაცვლდეს ექთნით). დაწესებულებამ 2025 წლის 20 ივნისს გამოაცხადა ვაკანსია ექიმის თანამდებობაზე და შეარჩია კვალიფიციური ექიმი. სკოლამ წარმოადგინა ექიმის კონკურსის ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებები. სკოლის ექიმისა და ექთნის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს: ექიმი დიპლომის კვალიფიკაციით არის

პედიატრი და 2008 წელს აღებული აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი პედიატრიაში და 2024 წელს სახელმწიფო სერტიფიკატი საოჯახო მედიცინაში. ექთანი დიპლომის კვალიფიკაციით არის მედდა. ექიმი და ექთანი სკოლაში სასწავლო პროცესის განმავლობაში მონაცველეობით მუშაობენ წინასწარ შემუშავებული განრიგით.

2024 წლის ივლისის მონიტორინგის დროს ექთანი არ აწარმოებდა **2022** წლის **21** მარტის **№41**/ნ/**01-23**/ნ ბრძანებით გათვალისწინებულ სარეგისტრაციო ჟურნალებს**. სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლიდან დაიწყო ჟურნალის წარმოება.** ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს სარეგისტრაციო ჟურნალები, რომელსაც აწარმოებს ექიმი და ექთანი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად მიმართვიანობის ზოგადი სიხშირის/სტატისტიკის და სხვა მონაცემების მარტივად ადმინისტრირებისათვის გამოიყენება **სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი**. ჟურნალი უნდა მოიცავდეს ისეთ ზოგად ინფორმაციას, როგორიცაა პაციენტის სახელი, გვარი, კლასი (ასაკი), მიმართვის თარიღი და მიზეზი (დანართი #1.1.1). გარდა ამისა, იმავე მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სკოლის ექიმის კომპეტენციაა გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ ინფორმაცია შეიტანოს **სკოლაში გაწეული სამედიცინო დახმარების მომსახურების სააღრიცხვო ფორმაში** (დანართი #1.1).

სკოლა აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ერთ ჟურნალს მატერიალური სახით. ერთ საერთო ჟურნალში აღრიცხავს სამედიცინო შემთხვევებს და ექიმის/ექთნის მიერ გაწეულ სამედიცინო დახმარებას, ასევე დახარჯული მედიკამენტებს და სამედიცინო მასალებს, ასევე ვადაგასულ მედიკამენტებს. თუმცა სამედიცინო შემთხვევების აღწერის ჟურნალს სკოლა აწარმოებს გარკვეული სახეცვლილებით. მაგ. სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში არ არის მითითებული მოსწავლის ასაკი. ასევე, სკოლა არ ავსებს **სკოლაში გაწეული სამედიცინო დახმარების მომსახურების სააღრიცხვო ფორმას დანართი #1.1-ის შესაბამისად**. მაგ. 8.10.2025წ. მე-3 კლასის მოსწავლის დ.ქ. ფეხის დაზიანების შემთხვევა, რის გამოც საჭირო გახდა სასწრაფოს გამოძახება. ასეთ შემთხვევაში დანართი #1.1-ის ფორმა სხვა ინფორმაციების ასახვასთან ერთად ითვალისწინებს სკოლის სამედიცინო პერსონალისა და პაციენტის/მშობლის ხელმოწერას.

სკოლას ჰქონდა ხარვეზი სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალთან დაკავშირებით, კერძოდ, ჟურნალში არ იყო მითითებული მოსწავლის ასაკი დანართი #1.1.1-ის შესაბამისად. ასევე, სკოლა არ ავსებდა სკოლაში გაწეული სამედიცინო დახმარების მომსახურების სააღრიცხვო ფორმას დანართი #1.1-ის შესაბამისად. შესაბამისად, სკოლის მიერ წარმოებული სარეგისტრაციო ჟურნალი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ დანართი #1.1-ს და დანართი #1.1.1-ს.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც გაიაზიარა ექსპერტების პოზიცია - აღმოფხვრა ხარვეზი და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება. კერძოდ, წარმოადგინა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ახალი ჟურნალი, რომელშიც გათვალისწინებულია დანართი #1.1.1-ის ყველა მოთხოვნა, ასევე წარმოადგინა სკოლაში გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა (შევსებული ვერსია).

არგუმენტირებულ პოზიციამდე ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „შეესაბამება“.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და პრევენციულ ღონისძიებების განხორციელებას უზრუნველყოფს სხვადასხვა საშუალებებით. სკოლაში დადგენილია მორიგეობის გრაფიკი, გამოკრულია დერეფნებში, დამრიგებლები ვალდებული არიან მუდმივად იმყოფებოდნენ საკურატორო კლასთან. განსაზღვრულია შენობაში და მის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, ასევე უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირი. დამტკიცებულია თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი მოიცავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესსა და პირობებს, ასევე განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას. სკოლამ წარმოადგინა პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მტკიცებულებები: 1. სკოლის დირექტორის ანგარიში 2024-2025 ს/წ განმავლობაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით

სკოლაში გატარებული აქტივობების შესახებ. 2. დირექტორის ბრძანება #6-17 02.08.2024წ. უსაფრთხოებასა და საზ. წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ. 3. დირექტორის ბრძანება მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მშობელთა კითხვარების დამტკიცების შესახებ. 4. ვიდეო-მონიტორინგის განხორციელების წესი - დირექტორის ბრძანება #6-06 13.01.2025წ. 5. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ანგარიში 2024-2025 ს/წ ღონისძიებების შესახებ. 6. აღნიშნული პირის სარეკომენდაციო წერილები ვიდეო-თვალების მდგომარეობის შესახებ. 7. ბულინგის ადა ძლადობის თემაზე ჩასატარებელი აქტივობების გეგმა 2025-2026 ს/წლისათვის. 8. მოსწავლეებთან ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალები (მოსწავლეთა ხელით შექმნილი პლაკატები, ესეები, დერეფანში გამოკრული პლაკატები და ნახატები, სხვადასხვა კლასის სადამრიგებლო პროგრამის მასალები). აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ასევე ისაუბრეს მოსწავლეებმაც პირისპირ გასაუბრების დროს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი**,** რომელიც იმავდროულად არის ფსიქოლოგი**.** ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ იგი თავის საქმიანობას კვირაში 40 სამუშაო საათი სრული დატვირთვით. მას სხვადასხვა ხელშეკრულებით განსაზღვრული აქვს ფსიქოლოგისა და სპეც. მასწავლებლის მოვალეობები. ფსიოქოგი ემსახურება როგორც ტიპიური განვითარების, ისე სსსმ მოსწავლეებს და ინდივიდუალურ კონსულტაციებს უწევს მოსწავლეებს. აქტიურად შედის კლასებში და მოსწავლეებთან ატარებს თემატურ საუბრებს. აღნიშნულის შესახებ ისაუბრეს მოსწავლეებმა პირისპირ გასაუბრების დროს და კმაყოფილება გამოხატეს ფსიქოლოგის მუშაობის მიმართ.

მოსწავლეთა ფსიქოემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას შემუშავებული აქვს **„**ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“**,** განსაზღვრულია რეფერირების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი. თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული სახალხო დამცველის, 112-ის, სკოლის ფსიქოლოგის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ნომრები. ასევე წარმოდგენილია ფსიქოლოგის სამუშო გრაფიკი 2025-2026 სასწავლო წლისთვის, სადაც გათვალისწინებულია მისი მუშაობა არა მარტო სსსმ მოსწავლეებთან, არამედ სხვა მოსწავლეებთანაც.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას უზრუნველყოფს დამლაგებლებისა და სანიტარული რესურსების გამოყენებით. სკოლაში საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 2 საშტატო ერთეული. დამლაგებელთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ის ფლობს ინფორმაციას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 6 თებერვლის N01-40/ო ბრძანებით დამტკიცებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული რეკომენდაციების (,,წყალი, სანიტარია და ჰიგიენა სკოლაში'') შესაბამისად დალაგების პირობების თაობაზე. მასთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში გაწერილია შესაბამისი ვალდებულებები. სკოლის ექთანი ზედამხედველობს სკოლის სანიტარიულჰიგიენური პირობების შესრულებას.

სკოლაში არსებობს გამიჯნული სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშო. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია ჰიგიენის დაცვის საშუალებებით (ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების ურნა). ექთანი ზედამხედველობს სასკოლო სასადილოს სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობას. როგორც სკოლაში განმარტეს, პერიოდულად სასადილოს შემოწმება ხდება სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ. სკოლამ წარმოადგინა სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიწერილობები სკოლისადმი, რითაც დასტურდება შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სველ წერტილებში და სასადილოში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ''. წარმოდგენილია მასწავლებლის თანხმობა, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. სკოლას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები გაწერილი აქვს აგრეთვე მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში.

სკოლა ამუშავებს ისეთ პერსონალურ მონაცემებს, როგორიცაა სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, მისამართი, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია, გამოსახულება და სხვა. მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და სკოლაში

დასაქმებული ნებისმიერი პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. **პერსონალურ მონაცემთა დაცვის მომსახურების ფუნქციას სკოლაში ასრულებს ორგანიზაცია შპს „ბიესეი“, რომელსაც სკოლასთან გაფორმებული ხელშეკრულებით ევალება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა აღსრულება, მომხმარებლის მოთხოვნებსა და საჩივრებზე რეაგირება, დაინტერესებული პირებისათვის საკონტაქტო პირად ყოფნა, რეკომენდაციების შემუშავება სკოლისათვის და სხვა.**

სკოლას დირექტორის ბრძანებით #6-32 05.09.2024წ. დამტკიცებული აქვს „პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა“, რომლითაც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დაცვის წესს და მონიტორინგის მექანიზმს. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი (ხელშეკრულება #009 07.11.2025წ. შპს „ბიესეი სეიფთთან“). წარმოდგენილია სკოლის მიერ დამტკიცებული პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკა. პერსონალური მონაცემების დაცვის წესში აღწერილია თუ რომელი მონაცმები მიეკუთვნება პერსონალურ მონაცემებს, ასევე, მათი დამუშავების წესი და დეტალურად არის წარმოდგენილი მონიტორინგის მექანიზმები.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. კომპიუტერებში ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. სკოლა იყენებს ლიცენზირებული პროგრამა/ვებგვერდებს.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების შესაბამისად, სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები. სკოლამ წარმოადგინა პროცესების უსაფრთხოების კონკრეტული მექანიზმი - კითხვარები მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და მშობლებისათვის და შეფასების დამადასტურებელი მტკიცებულებები (2024-2025 ს/წ ბოლოს ჩატარებული გამოკითხვა). მოსწავლეებთან გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს ჩატარებული გამოკითხვის შესახებ. ამდენად, სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.
არაგეგმიური ვიზიტის შედეგად სკოლაზე გაცემული იყო რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას და შედეგების შესაბამისად, მათი გაუმჯობესება და ინდიკატორი შეფასებული იყო ,,მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია შესრულებულია.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანებით #6-12 28.03.2025წ. დამტკიცებული „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები“
- განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობის წერილი 26.03.2025წ.
- სკოლის დირექტორის ბრძანებით #6-51 02.10.2024წ. დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანხმობის წერილი
- ხელშეკრულება #180 07.11.2025წ. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მომსახურების შესახებ.
- შპს ,,რეალექსპრესს“ გაგზავნილი წერილი;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი;
- ბრძანება შენობაში და მის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და თამბაქოს მოხმარების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირის შესახებ;

- თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული წესი;
- სკოლის წერილი (16.10. 2024წ.) ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსადმი
- სკოლის წერილი (19.02.2025წ.) ქალაქ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოსადმი
- ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საპასუხო წერილი სკოლისადმი (25.08.2025წ).
- სკოლის წერილი 12.08.2025წ. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი
- ექიმის შრომითი ხელშეკრულება
- ექთნის შრომითი ხელშეკრულება;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი;
- (ხელშეკრულება #009 07.11.2025წ. შპს „ბიესეი სეიფთთან“) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის შესახებ • მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ,,ათინათი" მდებარეობს ქ. თბილისში მერაბ ალექსიძის. ქუჩის II შესახვევი N4. სკოლის შენობა საკუთრებაში გადაცემულია აუქციონის საფუძველზე და დასტურდება ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს საკუთრების დამადასტურებელი N681 მოწმობით. საჯარო რეესტრის ამონაწერითა და საკუთრების მოწმობით დგინდება, რომ სკოლის საკუთრებაშია შენობის პირველ სართულზე არსებული 435.31 კვ.მ და სხვენის სართულზე მდებარე 320.24 კვ.მ ფართები (შესაბამისი წილობრივი მიწის ნაკვეთით). რაც შეეხება შენობის დანარჩენ ფართს, იგი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს და განთავსებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. (ვიზიტის დროს შენობის ბაგა-ბაღის ფლიგელში მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები).

სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა**.** სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია **7** საკლასო ოთახი **(VII-XII** კლასები**),** სასადილო, სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისათვის. (სველ წერტილებში დაბალი ჭერის გამო შესვლა შესაძლებელია მხოლოდ მოხრილ მდგომარეობაში). სკოლაში ასევე არის ადაპტირებული სველი წერტილი**,** სამედიცინო ოთახი**,** დირექციის ოთახები, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია**,** ბიბლიოთეკა**,** დამხმარე სივრცე. სხვენის სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახები **I-VI** კლასების მოსწავლეებისათვის**,** მენეჯერის ოთახი, სველი წერტილები, კომპიუტერული ლაბორატორია, მცირე ზომის სპორტული დარბაზი. სხვენის სართულზე არსებული საკლასო ოთახების ჭერი არის ნახევარად დახრილ მდომარეობაში.

საკლასო ოთხებს აქვთ ბუნებრივი განათება**.** სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი**.** სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია სამკითხველო სივრცე. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია**,** სადაც განთავსებულია კარადები. ლაბორატორიაში არის ონკანი. ლაბორატორია აღჭურვილია გამწოვი კარადით და ხელსაბანით. გამოკრულია უსაფრთხოებისა და ლაბორატორიაში მუშაობის წესები. ლაბორატორიაში განთავსებულია ლაბორატორიული ჭურჭელი, მულაჟები, ხელსაწყოები, სხვადასხვა სასწავლო რესურსი.

სკოლაში არის კომპიუტერული ტექნიკა**,** პრინტერები, 2 სმარტ მონიტორი. ექსპერტებმა ვიზიტის დროს დაათვალიერეს კომპიუტერული ლაბორატორია და შეამოწმეს კომპიუტერული ტექნიკის მუშა მდგოამრეობა.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლაში არსებული საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი სრულადაა ხელმისაწვდომი სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი და ბიბლიოთეკის დებულება. სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ სკოლის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. სპორტული ღონისძიებების წარმართვისას მოსწავლეები სარგებლობენ სკოლის ქონებით. სასწავლო პროცესში მასწავლებლები იყენებენ სკოლის კომპიუტერულ ტექნიკას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ბიბლიოთეკაში განთავსებულია, როგორც დამხმარე და მხატვრულ ლიტერატურას, ასევე სახელმძღვანელოები, ილუსტრირებული მასალები და პერიოდულ გამოცემები. ექსპერტებმა დაათვალიერეს სკოლის ბიბლიოთეკა და გაესაუბრნენ ბიბლიოთეკარს. სკოლაში არის 3000-მდე წიგნი. წიგნები დამუშავებულია დადგენილი წესით. სკოლას წიგნების შესახებ ინფორმაცია განთავსებული აქვს ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემა OPEN BIBLIO-ზე. გადამოწმებით დადგინდა, რომ ატვირთულია ინფორმაცია 2354 წიგნის შესახებ. ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები და ტელევიზორი. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც ითვალისწინებს რესურსის გატანა-დაბრუნების მარეგულირებელი ნორმებს, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესებს, მუშაობის განრიგს, ბიბლიოთეკარის ფუნქციებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესსა და სხვა. სკოლა აანხლებს წიგნად ფონდს პერიოდულად და ავსებს ახალი გამოცემებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას ჰყავს **2** სსსმ მოსწავლე, რომელთათვისაც სრულადაა ხელმისაწვდომია არსებული სასკოლო სივრცე და რესურსები. მოსწავლეებს სრულად აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ ნებისმიერი რესურსით. სკოლას აქვს იზოლირებული რესურსოთახი (2024 წლის ივლისის მონიტორინგის დროს სკოლის რესურსოთახი და ბიბლიოთეკა ერთ სივრცეს წარმოადგენდა). სპეციალურ მასწავლებელ/ფსიქოლოგს აქვს შესაბამისი სასწავლო რესურსი და ინვენტარი.

სკოლაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ სართულზე და სხვენის (მესამე სართულზე) სართულზე, სკოლას აქვს სხვენში (სადაც განთავსებულია დაწყებითი საფეხურის საკლასო ოთახები) ასასვლელი დასაკეცი პანდუსი.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ, თუმცა თვალშისაცემია ფართის სიმცირე და სივიწროვე. სკოლას აქვს შიდა კეთილმოწყობილი და დაცული ეზო, სპორტული მოედანი, სადაც იმართება აქტივობები. შესვენებებზე და გაკვეთილების ბოლოს მოსწავლეებსა და დასაქმებულებს საშუალება აქვთ დაისვენონ როგორც სასკოლო სივრცეში არსებულ გარემოში, ისე ეზოში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური, შემოქმედებითი, სოციალური და თანამშრომლობითი კომუნიკაციის უნარების განვითარებას. აღნიშნული დასტურდება სკოლის დერეფნასა და საკლასო ოთახებში გამოკრული მოსწავლეთა ნამუშევრებით და სასწავლო თემატური თვალსაჩინოებებით. მოსწავლეები სარგებლობენ ბიბლიოთეკითა და კომპიუტერული ლაბორატორიით. სხვენში არსებული სივრცის ნაწილს მოსწავლეები იყენებენ სპორტულ დარბაზად ან/და სააქტო დარბაზის ფუნქციით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ლაბორატორიით გამოყენების წესი;
- ბიბლიოთეკის დებულება

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სულ სკოლაში არის 18 კომპიუტერი, მათგან 12 კომპიუტერი განთავსებულია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ხოლო 1 კომპიუტერი ბიბლიოთეკაში. სკოლაში არის ასევე პრინტერი 3 ცალი, 2 სმარტ მონიტორი. კომპიუტერით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბიბლიოთეკარი, საქმისწარმოების მენეჯერი. სკოლაში დასაქმებულ პირები სარგებლობენ პირადი ლეპტოპებით. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

საგაკვეთილო მიზნებისთვის სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება აქვთ მოსწავლეებსა და დასაქმებულებს. სკოლას დამტკიცებული აქვს ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება), სადაც გათვალისწინებულია IT ლაბორატორიით სარგებლობის წესები. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება);
- დომენით სარგებლობის დამადასტურებელი საგადახდო დავალება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი (დ/ბრძანება #6-15 01.09.2023წ.), რომელიც არეგულირებს სკოლაში ნებისმიერი სახის დოკუმენტაციის სწორად და დროულად მომზადებას, დოკუმენტების გაფორმებას, აღრიცხვას, გამოყენებას და შენახვას. სკოლაში იწარმოება 7 ჟურნალი: შემოსული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, გასული კორესპონდენციის სარეგისტრაციო ჟურნალი, სკოლის დირექტორის საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი, სხვა სახის ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი (ბუღალტრული დოკუმენტების), საკადრო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია და დანომრილია დადგენილი წესით. საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ საქმიანობას ახორციელებს საქმის წარმოების მენეჯერი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება და განსაზღვრულია ფუნქციამოვალეობები. ექსპერტებმა დაათვალიერეს საქმისმწარმოებლის სამუშაო ოთახი და იქ წარმოებული დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ საქმისმწარმოებელს. ექსპერტებმა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმეს სარეგისტრაციო ჟურნალში დაფიქსირებული შემოსული და გასული დოკუმენტების თანხვედრა ელექტრონულ ფორმატთან schoolbook.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**
   სკოლა სარგებლობს მართვის საინფორმაციო სისტემით **(eSchool),** სადაც ასახულია მოსწავლეების, დასაქმებულებისა და მშობლების შესახებ ინფორმაცია. ასევე აქტიურად გამოიყენება სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა **schoolbook.** წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად დგინდება, რომ 2024 წლის 6 აგვისტოს სკოლამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სქულ მენეჯმენტ სისტემსთან“, სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #6-21 12.08.2024წ. საქმისწარმოების წესში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა: სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის (School MS - „სქულ მენეჯმენტ სისტემს“) საშუალებით და მატერიალური ფორმით. თუმცა სკოლაში დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა გამოიყენება მხოლოდ შიდა დოკუმენტბრუნვისათვის. განათლების სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და სხვა გარეშე ორგანიზაციებთან სკოლა ურთიერთობს სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით - skolaatinati30@gmail.com. სკოლაში შემოსულ და გასულ ყველა სახის დოკუმენტაციას საქმისმწარმოებელი ტვირთვას ელექტრონულ სისტემაში, მშობლებთან ურთიერთობა იწარმოება **schoolbook**-ის მეშვეობით.

მშობელს შესაძლებლობა აქვს სახლიდან გაუსვლელად ნახოს მოსწავლის მონაცემები. აღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ელექტრონული სისტემის საშუალებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას სრულად აქვს ასახული მონაცემები სკოლის ბარათზე ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პროფილზე. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია შემდეგი ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ექსპერტებმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერეს სკოლის პროფილი.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ანგარიშგებისა და ინფორმაციას მიწოდების მიზნით სკოლა თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, მართვის საინფორმაციო სისტემასთან და საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ სხვა უწყებებთან. ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- დირექტორის ბრძანება #6-21 12.08.2024წ. საქმისწარმოების წესში ცვლილების შეტანის შესახებ
- სარეგისტრაციო ჟურნალები.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ-გვერდი (https://skolaatinati.ge/) და სოციალური ქსელის გვერდი (https://www.facebook.com/profile.php?id=100042138415546), რომლებსაც სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და კომუნიკაციის მიზნით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვადასხვა აქტები და სიახლეები, ხოლო სოციალურ ქსელში ასახულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შესახებ. სკოლა მშობლებთან კომუნიკაციისას აქტიურად იყენებს ელექტრონულ პლატფორმას **schoolbook**-ს და სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებს. შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ხდება მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაცია, რომელიც უნდა გავრცელდეს სოციალური ქსელისა და დამრიგებლების მეშვეობით, თანხმდება სკოლის დირექციასთან, რის შემდეგაც ხდება მისი გავრცელება. სკოლის ვებ-გვერდისა და ფეისბუქ გვერდის დათვალიერებით ჩანს, რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია კერძოდ: სკოლის საქმიანობის ამსახველი ძირითადი და სავალდებულო დოკუმენტები, ინფორმაცია აკადემიური პროგრამების, მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებების, სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისების

შესახებ, არის სანდო და უტყუარი. მშობლებმა პირიპირ გასაუბრებისას ისაუბრეს სკოლასთან კომუნიკაციის ფორმებზე, რითაც დადასტურდა სკოლისაგან სანდო და უტყუარი ინფორმაციის მიღება.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საკუთარი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სკოლა იყენებს გამოკითხვის მეთოდს. აღნიშნული დადასტურდა მოსწავლეებთან ინტერვიურების დროსაც, რომლებმაც მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ აისახა მათი მოსაზრებები სასკოლო ცხოვრებაში. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს უკუკავშირის მიღების გამოცდილება, რასაც იყენებს შემდგომი საქმიანობის დასაგეგმად. აღნიშნა, რომ მათი სურვილები და ინტერესები სკოლის მხრიდან მაქსიმალურადაა გაზიარებული.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.
ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,**

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, საკონტაქტო ინფორმაცია. ვებ-გვერდზე განთავსებულია მისია, ხედვა, ღირებულებები, პროგრამ (ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), თუმცა არ არის განთავსებული გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. აღნიშნული დოკუმენტები არსებობას ადასტურებენ ექსპერტები, რომლებმაც ვიზიტის დროს დაათვალიერეს მითითებული დოკუმენტაცია.

სკოლას 2024 წლის ივლისის მონიტორინგის დროს მიცემული ჰქონდა რეკომენდაცია - დაწესებულებამ უზრუნველყოს დადგენილ ვადებში ვებ. გვერდზე ინფორმაციის სრულად განთავსება. **რეკომენდაცია შესრულებულია** - ვებ-გვერდზე სრულად არის ატვირთული ყველა საჭირო ინფორმაცია: სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, სამოქმედო გეგმის შსრულების ანგარიში, გასაჩივრების მექანიზმები, სკოლის ფინანსური მდგარდობის შესახებ ანგარიში.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- https://skolaatinati.ge/
- https://www.facebook.com/profile.php?id=100042138415546

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლები ძირითადად მოიცავს მოსწავლეების მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სწავლის საფასურსა და ვაუჩერულ დაფინანსებას. სკოლამ წარმოადგინა **2025-2026** სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებული ბიუჯეტი**,** სადაც გათვალისწინებულია შემოსავლები და ხარჯები. სკოლის დებულების (მუხლი 31) მიხედვით სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი ასახულია ბიუჯეტში (დაკონკრეტებულია მაგალითად შრომის უსაფრთხოებისათვის, ელექტრონული საქმისწარმოებისათვის, ვებ-გვერდის მომსახურებისათვის, საოფისე ინვენტარისა და კომპიუტერების შესასყიდად გათვალისწინებული თანხები). სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია დირექტორის მიერ - წარმოადგინა მტკიცებულება სკოლის დირექტორის ბრძანება #6-44 15.09.2025წ.

სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმით სასწავლო წლის განმავლობაში გათვალისწინებული იყო მატერიალურტექნიკური ბაზის სრულყოფისა და აღჭურვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება, ასევე სკოლის აღჭურვა სასწავლო რესურსით, საოფისე და სასწავლო ინვენტარით, მედიკამენტების შეძენა და სხვა. სკოლამ წარმოადგინა მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი მტკიცებულება**,** ასევე ფინანსური საქმიანობის შედეგები**.** სკოლამ ასევე წარმოადგინა ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის დოკუმენტი 2025 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. დოკუმენტით ირკვევა, რომ სკოლას 2024 და 2025 წლებში შეიძინა ტელევიზორები საკლასო ოთახებისათვის, ცეცხლგამძლე მაგიდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის, 8 ერთეული კომპიუტერი. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლის

ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები და შემოსავლები, რომლებიც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ფინანსურ საქმიანობას აკონტროლებს მთავარი ბუღალტერი, ხოლო სკოლის დირექტორი განკარგავს თანხებს სკოლის ბიუჯეტის შესაბამისად. წარმოდგენილია სკოლის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების ამსახველი დოკუმენტი - ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ბუღალტრთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ ფინანსური რესურსების მართვის მონიტორინგს სკოლაში ახორციელებს დირექცია. სკოლას შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის **(**დაგეგმვის**,** განკარგვის**,** მონიტორინგის და ა.შ.**)** მექანიზმები**.** წარმოდგენილია დამტკიცებული ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემის დანერვისა და შეფასების წესი დამტკიცებული ს/დირექტორის ბრძანებით #6-38 09.09.2024წ.

ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს**.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025-2026 ს/წ ბიუჯეტი
- სკოლის დირექტორის ბრძანება #6-44 15.09.2025წ. ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
- ფინანსური მართვისა და კონტროლის სიტემის დანერვისა და შეფასების წესი - დამტკიცებული ს/დირექტორის ბრძანებით #6-38 09.09.2024წ.
- ინფორმაცია ფინანსური საქმიანობის შესახებ

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. **მოსწავლეთა მხარდაჭერა**

4.1. **მოსწავლეთა უფლებების დაცვა**

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა შპს საერთაშორისო სკოლაში „ათინათი“ მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი (01.09.2021 ბრძანება N 6-16). აღნიშნული დოკუმენტით დარეგულირებულია მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები, განსაზღვრულია წახალისების ფორმები, დასაქმებულთა და მოსწავლეთა დიციპლინური პასუხისმგებლობის წესი, დისციპლინური წარმოებისა და სახდელის მოხსნის საკითხები. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია (01.09.2023 წელი ბრძანება N 6-15) „მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმი“.

   საერთაშორისო სკოლა ათინათის დებულებით (2.08.2024 ბრძანება N6-18) რეგულირდება მშობლებთან ურთიერთობა, უზრუნველყოფილია კონფიდენციალურობა (მათ შორის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შესახებ). მოსწავლეთა უფლებამოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის.

მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სკოლაში თავს დაცულად გრძნობენ, თითოეული მათგანი დაცულია არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან. იცნობენ სკოლის შინაგანაწესს და იციან ვის უნდა მიმართონ კანონით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად.

სკოლა უზრუნველყოფს პირველკლასელი და ახალგადმოსული მოსწავლეების სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას. სკოლას შემუშავებული აქვს ახალ მოსწავლეთა სკოლაში მიღების დებულება - (1.09.2021 ბრძანება N 6-16), სადაც განსაზღვრულია მხარდამჭერი ღონისძიებები და აქტივობები. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან საუბრითაც. თითოეული მათგანი აღნიშნავს, რომ ახალ გარემოსთან შეგუება გაუადვილა სასკოლო საზოგადოებამ (დირექციამ, მასწავლებლებმა და ბავშვებმა). სკოლის თითოეული მოსწავლისათვის განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად სკოლას მიღებული აქვს ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი დოკუმენტი - „ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა“.

მოსწავლეთა უფლებების დასაცავად სკოლაში არსებობს დისციპლინური კომიტეტი, არსებობს საჩივრების განხილვის წესი (27.10.2014 წელი ბრძანება N 6-55). სასკოლო საზოგადოება იცნობს და იცავს წესს „ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციას“, რომელიც შემუშავებულია მოსწავლის კანონით გათვალისწინებულიმ უფლებების დასაცავად (05.09.2024 წელი N 6-30).

დოკუმენტში „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა“ (16.09.2025 წელი ბრძანება N 6-48) დეტალურად არის გაწერილი მოსწავლეთა პირადი მონაცემების დაცვის მექანიზმები; ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ელექტრონული ჟურნალის წარმოების წესი, რომლის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დაიცვას და უზრუნველყოს მოსწავლის და მისი კანონიერი წარმომადგენლის უფლება, დროულად მიიღოს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

ექსპერტთა ჯგუფთან სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მშობლები, მოსწავლეები) გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს, აცნობს უფლებებს და მოვალეობებს, სკოლის შინაგანაწესს, ქცევის წესებს, სკოლის შიდა რეგულაციებს. უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები ასევე ხელმისაწვდომია სკოლის ვებ. გვერდზე (**skolaatinati.ge**), გაზიარებულია სკოლის ფეისბუქ გვერდზე, გამოკრულია ფოიეში.

მოსწავლეებთან გასაუბრებისას ექსპერტთა მიერ დადგინდა, რომ მოსწავლეები სრულად არიან ინფორმირებული სასკოლო რეგულაციებზე, იციან მაგ: კონკრეტული იდეის ინიცირების, გაზიარების/განხორციელების მიზნით ვის და როდის უნდა მიმართონ, იციან თავიანთი უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა მოსწავლეთა მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები, რომელიც შეესაბამება განათლების სფეროში მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, სწავლის ღირებულება და ანაზღაურების პირობები, ხელშეკრულების პირობები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შეთანხმებასაც ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 01.09.2023 წელი, ბრძანება N 6-15 - „მოსწავლის კანონით განსაზღვრული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის მექანიზმი“.
- სკოლის შინაგანაწესი - 01.09.2021 ბრძანება N 6-16
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

- ახალ მოსწავლეთა სკოლაში მიღების დებულება - (1.09.2021 ბრძანება N 6-16)
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.
- საერთაშორისო სკოლა ათინათის დებულება (2.08.2024 ბრძანება N6-18)
- საჩივრების განხილვის წესი (27.10.2014 წელი ბრძანება N 6-55)
- ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (05.09.2024 წელი N 6-30)
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (16.09.2025 ბრძანება N 6-48)

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დოკუმენტი (01.10 2025 წელი. ბრძ. N 6-02), რომელიც არეგულირებს ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. სსსმ მოსწავლეების შემთხვევაში სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს არეგულირებს მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ამ გუნდის რეკომენდაციების გათვალისწინებით შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. გეგმაში გაწერილი მიზნების შესაბამისად ხდება სსსმ მოსწავლის შეფასება, რაც საფეხურის დაძლევის საფუძველია. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში (მუხლი 8).

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება სკოლის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში (სკოლის ფართის გათვალისწინებით). მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. სკოლას ჰყავს უცხოელი მოსწავლე, რომელიც ჩაირიცხა სკოლაში და კანონმდებლობის შესაბამისად მოხდა მოსწავლის უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისთვის განხორციელებული პროცედურები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლამ 2024 წელს განხორციელებული მონიტორინგის დროს მიიღო შემდეგი რეკომენდაცია: “დაწესებულებამ უზრუნველყოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების შესახებ ინფორმაციის საჯაროდ გამოქვეყნება სკოლის ვებ. გვერდზე სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადების შესაბამისად“. მიმდინარე მონიტორინგის დროს მოხდა სკოლის ვებ. გვერდის დათვალიერება. სკოლამ გაითვალისწინა გაცემული რეკომენდაცია და აღნიშნული ინფორმაცია გამოაქვეყნა სკოლის ვებ. გვერდზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებლებთან და მშობლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისშივე კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ შინაგანაწესს, ასევე ყველა იმ წესს, რომელიც შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით არის განსაზღვრული. შპს საერთაშორისო სკოლა ათინათი მოსწავლეებს სთავაზოს გახანგრძლივებულ სწავლებას, კვების სერვისს, ჭადრაკისა და ცეკვის წრეს, ქართული ენისა და

ლიტერატურის კლუბს, სამოქალაქო განათლებისა და ისტორიის კლუბს. აღნიშნული სერვისების შესახებ ინფორმაციას მოსწავლეები, მშობლები და სხვა დაინტერესებული პირები იღებენ ვებ. გვერდის, ფეისბუქ გვერდის, დახურული ჯგუფების და მშობელთა კრების საშუალებით. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის ვებ. გვერდისა და სოციალურ ქსელში სკოლის გვერდის დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით მოსწავლეებს სთავაზობს იმ საგნობრივ პროგრამებს, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს, სხვადასხვა სერვისებსა და სასკოლო აქტივობებს, რომლებიც ემსახურება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები
- სკოლის შინაგანაწესი

სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

- ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- სკოლის ვებ. გვერდი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი შპს საერთაშორისო სკოლა ათინათი დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გააადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსული და ეროვნებით არაქართველი მოსწავლეების ჩართულობა. ამ მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს ახალ მოსწავლეთა სკოლაში მიღების დებულება - (1.09.2021 ბრძანება N6-16), სადაც განსაზღვრულია მხარდამჭერი ღონისძიებები და აქტივობები.

სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზაობის დადგენას, რაც მოიცავს სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტში და არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა ახალ მოსწავლეს უწევს დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობელს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებზე. დამრიგებელი მუდმივ

კომუნიკაციაშია ახალ მოსწავლესა და მის მშობელთან და იგებს მოსწავლის განწყობას სასკოლო ცხოვრების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფთან საუბრისას მოსწავლეები აღნიშნავენ, რომ ახალგადმოსული მოსწავლისათვის შექმნილია კეთილგანწყობილი გარემო. ისინი ძალიან მალე თავს სასკოლო კულტურის ნაწილად თვლიან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

ახალი მოსწავლის წარმატებულ ადაპტაციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დირექციის, მასწავლებლისა და დამრიგებლის პოზიტიური დამოკიდებულება და პროფესიული უნარები. კლასის დამრიგებელი ახლად ჩარიცხულ მოსწავლეს აცნობს კლასის მასწავლებლებს და მოსწავლეებს, აცნობს თავის უფლება-მოვალეობებს, შინაგანაწესს, მოსწავლის ქცევის კოდექსს, სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და უსაფრთხოების ინსტრუქციებს; სკოლა უზრუნველყოფს ახლადჩარიცხული მოსწავლისათვის სასკოლო გარემოს დათვალიერებას (დარბაზი, ლაბორატორია, კაბინეტები, ეზო, სპორტდარბაზი და ა.შ). სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, რომელიც ასევე ჩართულია მოსწავლის ადაპტაციის პროცესში. ექსპერტებთან ისაუბრეს მოსწავლეებმაც, რომლებიც იხსენებდნენ არამარტო დამრიგებლის, არამედ ფსიქოლოგის მხარდაჭერას ადაპტაციის პერიოდში. მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ მოსწავლეებს სკოლა პირადი შეხვედრისას, კლასის კრებაზე აწვდის ინფორმაციას, აკადემიური მოსწრების, ექსტერნის და საშემოდგომო გამოცდის, ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის, შეფასების კრიტერიუმების შესახებ. სკოლა მოსწავლეს სთავაზობს დახმარებას გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამისთვის შემუშავებული აქვთ რემედიაციის წესი (22.01 2025 N 6-10). ერთ-ერთმა მოსწავლემ ისაუბრა, თუ როგორ დაეხმარა მასწავლებელი ნიშნის ასამაღლებელი გამოცდის წინ რემედიაციის პროგრამით.

მშობლებთან და მოსწავლეებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ მოსწავლეებს საგნობრივ კონსულტაციებს/დამატებით მეცადიენობას, რისთვისაც სკოლას ახორციელებს მოსწავლეთა მხარდაჭერის, აკადემიური შედეგების გაუმჯობესების ღონისძიებებს. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. მასწავლებლები მიმდინარე შეფასებების და შემაჯამებელი დავალებების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს აძლევენ შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (შინაგანაწესი; სასკოლო სასწავლო გეგმა; სკოლის დებულება; სადამრიგებლო პროგრამა და სხვა) დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ასევე აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლის ადმინისტრაციასთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გასაუბრებით, ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის და სარეგისტრაციო ჟურნალების დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა და სხვ,) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში.

სსსმ მოსწავლის შემთხვევაში საგნის მასწავლებლები ცდილობენ დავალებების მორგებას - ადაპტირებას მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით. როგორც ექსპერტთა მიერ ვიზიტის დროს დადგინდა, სპეციალური მასწავლებელი წინასწარ შედგენილი გრაფიკის საშუალებით ახორციელებს სსსმ მოსწავლეებთან დამატებით მუშაობას რესურსოთახში. გრაფიკი შედგენილია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით.

სხვადასხვა კონკურსებსა და ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობის საკითხებში ჩართულია როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე კათედრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სკოლის მიერ დაგეგმილი საკლუბო, საწრეო და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია თავსდება სკოლის ვებ. გვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. სკოლაში დასაქმებულია სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები, რომელთა ჩართულობითაც უზრუნველყოფილია მოსწავლეების დახმარება არაფორმალური აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაის მიმართულებით.

მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მხარდაჭერილი და წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები. მოსწავლეთა ინიციატივით ჩატარდა შეჯიბრი ფეხბურთში, საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა, გარემოსდაცვითი ღონისძიებადასუფთავების აქცია სკოლის ტერიტორიაზე. დამატებითი მომსახურების შეთავაზებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. მშობელთა ინიციატივით სკოლამ დაამატა გერმანული ენის შემსწავლელი წრე. მოსწავლეთა ინიციატივით სპორტის გაკვეთილს დაემატა ერთი საგაკვეთილო საათი.

სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად და გასამდიდრებლად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სხვადასხვა სახის წრეს და კლუბს, ესენია: ჭადრაკისა და ცეკვის შემსწავლელთა წრე, ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი“წიაღსვლა“, ისტორიისა და სამოქალაქო განათლების კლუბი. სკოლის მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა გამოფენებში, საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში. მშობელთა მხარდაჭერით (დაფინანსებით) მოსწავლეები წელიწადშ ერთჯერ მიემგზავრებიან ლონდონში გაცვლითი პროგრამით.

რჩევა: სასურველია, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერისა და წახალისების მიზნით სკოლაში შეიქმნას მოსწავლეთა საინიციატოვო ჯგუფი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლა განსაზღვრავს ინტერვენციებს. კმაყოფილების კითხვარის მეშვეობით ადგენენ საჭიროებებს, გასაუმჯობესებელ მხარეებს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებების დადგენას სპეციალურად შედგენილი მშობელთა და მოსწავლეთა კითხვარების მეშვეობით, რომლის ანალიზის საფუძველზეც, შესაძლებლობის ფარგლებში დგება გასატარებელი ღონისძიებების ნუსხა მოსწავლეთა მოთხოვნებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ახალ მოსწავლეთა სკოლაში მიღების დებულება - (1.09.2021 ბრძანება N 6-16)
- დამრიგებლის გეგმა
- ფსიქოლოგის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის დებულება
- სადამრიგებლო მუშაობის დებულება;
- კვლევის კითხვარები;
- სკოლის ვებგვერდი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს შპს საერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ წესი **(22.01.2014** წელი მუხლი **1)**.

სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ახორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზაციის მიზნით. მოსწავლეები ეცნობიან ცალკეულ პროფესიებს და დასაქმების შესაძლებლობებს. მოსწავლეები პედაგოგებისა და სკოლის დირექციის მხარდაჭერით სტუმრობენ სხვადასხვა უნივერსიტეტებს, სკოლაში მოდიან სტუმრები, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან შესახვედრად და პროფესიებზე სასაუბროდ. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა და მოსწავლეებმა ექსპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს**,** მოსწავლეებთან სტუმრად იყვნენ თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წარმომადგენლები (27.10. 2025წელი). მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეები იყვნენ სტუმრად კოლეჯში „მერმისი“(30.10.2025).დაესწრნენ მასტერკლასს, დააკვირდნენ, თუ როგორ მიმდინარეობს კოლეჯში პრაქტიკული სწავლება. 2025 წლის 09 დეკემბერს სკოლა ათინათს ეწვია სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების თბილისის და მცხეთა-თიანეთის რეგიონული ცენტრის წარმომადგენელი და IX-XII კლასების მოსწავლეებს სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ ესაუბრა. სხვადასხვა დროს სკოლის მოსწავლეები სტუმრობდნენ კომპანიას: “ბარამბო“,“კოკა-კოლა“, „იფქლი“. შედგა ვიზიტი 112-ში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით

სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში კლასის დამრიგებლები და თვითმმართველობის წევრები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ

ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. სკოლაში ხშრად იწვევენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს

სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად.

რჩევა**:** სასურველია, სკოლამ კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით, ჩაატაროს მოსწავლეების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რამდენად დაეხმარა მოსწავლეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კარიერული დაგეგმვის სერვისი მისი უნარების და ინტერესების შესაბამისი პროფესიული არჩევანის გაკეთებაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელებაში, გამოკითხვის შედეგები, უკუკავშირი სკოლას მისცემს შესაძლებლობას კიდევ უფრო ეფექტურად დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სადამრიგებლო პროგრამა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

- შპსსაერთაშორისო ქართული სკოლა ათინათის მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმარების მხარდამჭერი ღონისძიებების შესახებ წესი (22.01.2014 წელი) • სკოლის ვებგვერდი;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი

2025-2026 სასწავლო წელს სკოლაში ირიცხება 2 სსსმ მოსწავლე. სკოლა ხელმძღვანელობს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმის მიხედვით (29.09.2025 ბრძანება N 6-53.) სკოლაში დირექტორის (2025 წლის 29.09 N 6-51 ბრძანებით) დამტკიცებულია ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავების ჯგუფი. ისგ ჯგუფები პერიოდულად იკრიბება და განიხილავს სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებულ სწავლების საკითხებს. აღნიშნული დასტურდება ისგ ჯგუფების ოქმებით. სკოლაში ფუნქციონირებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც წლის ბოლოს განხორციელებული აქვს შიდა მონიტორინგი და შედგენილია დასკვნა. სკოლას აქვს რესურსოთახი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის მიერ დგება ინტერვენციის გეგმები. სკოლას ჰყავდა 1 სპეც. მასწავლებელი. სკოლამ წარმოადგინა ინდ. გეგმები საგნობრივი მიმართულებებით. შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება შიდა მონიტორინგის წესის შესაბამისად (22.04.2025 ბრძანება N 6-13).

სკოლაში აღნიშნული დოკუმენტაციით დასტურდება მოსწავლეთა სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების, ისგ ჯგუფის შექმნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების და განხორციელების მონიტორინგის მექანიზმები, არსებობს შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით შექმნილი ჯგუფის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში არის რესურსოთახი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს

სკოლის წარმომადგენლებთან, მასწავლებელებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი ფლობენ ინფორმაციას დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომების შესახებ. სსსმ მოსწავლისთვის შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელშიც შედის კლასის დამრიგებელი, მოსწავლის მშობელი, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი) და საგნის მასწავლებლები. ისინი მუშაობენ თანამშრომლობის პრინციპით, მათ შორის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან მჭიდრო თანამშრომლობით და კომუნიკაციით. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული თითოეული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები.სკოლაში ასევე არსებობს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს.

სპეციალურ მასწავლებელს შედგენილი აქვთ სამოქმედო გეგმა და ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები. ასევე, შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა(29.09.2025 ბრძანება N 6-53.)
- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შემუშავების ჯგუფი (2025 წლის 29.09ბრძანება N 6-51) • ისგ ფორმა;
- მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- სსსმ მოსწავლის ინდ.გეგმები;

- ინტერვენციის გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.
ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურეობებს სხვადასხვა წრეებისა თუ კლუბების სახით. სკოლაში ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი "წიაღსვლა", ისტორიისა და სამოქალაქო განათლების კლუბი, ჭადრაკისა და ცეკვის წრე".

სკოლა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს დამატებით არასავალდებულო მომსახურებას-გახანგრძლივებულ სწავლებას, რომლის პირობები მოსწავლის მშობლისთვის/კანონიერი წარმომდგენლისთვის წინასწარ არის ცნობილი და ამასთანავე, იგი ასახულია მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაშიც.

სკოლა მოსწავლეებს დამატებითი მომსახურების სახით სთავაზობს კვებას. ექსპერტთა მიერ მოხდა კვების ობიექტის ვიზუალური დათვალიერება. სკოლას აქვს HACCP-ის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა (25.09.2024 წელი). კვების ობიექტის შემოწმებას ახორციელებს HACCP-ი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისობის აქტით N1B38E0446A4EE (ივსება სურსათის ცხოველის/საკვების ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით) 2025 წლის 24 იანვრის ბრძანება N 2-19 დასტურდება საკვების ჰიგიენის შემოწმება. სასმელი წყლის შემოწმება დასტურდება 19.09.2024 წლის აქტით.

მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების მუხლი 3 - მხარეთა უფლება-მოვალეობები (3.1.5) სკოლა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მოსწავლეები ექიმის რეკომენდაციის საფუძველზე შედგენილი კვების რაციონით. სკოლას ჰტავს ერთი მზარეული და მზარეულის დამხმარე.

მშობლებთან და მოსწავლეებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრებისას დადგინდა, რომ მოსწავლეები კმაყოფილნი არიან სკოლის მიერ მიწოდებული კვების სერვისით. ამბობენ, რომ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მომხდარა საკვებით ინტოქსიკაცია. აღნიშნავენ, რომ სკოლაში მზადდება სასარგებლო, ჯანსაღი და გემრიელი საკვები მათთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას.

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კლუბურ მუშაობას სხვადასხვა ასაკის გათვალისწინებით. როგორც სკოლის წარმომადგენლებმა და მშობლებმა ესპერტებთან გასაუბრებისას აღნიშნეს, სასკოლო ცხოვრებაში დაწესებულება აქტიურად იყენებს კითხვარებს სხვადასხვა მიმართულებით და მათ შორის მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენისთვის, რის საფუძველზეც ხდება კლუბების შეთავაზება. კლუბებში ჩართულობა ნებაყოფლობითია.

სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა, რომელიც შეეხებოდა საკლუბო მუშაობაში მოსწავლის ჩართვის რეგულაციას. კერძოდ, გაცემული იყო რჩევა სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაეფორმებინა ხელშეკრულება ან შეთანხმება საკლუბო მუშაობაში მათი შვილის ნებაყოფლობით ჩართვის დასტურად. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციაში აღწერა, როგორ მოაწესრიგა აღნიშნული საკითხი და წარმოადგინა სათანადო მტკიცებულება. კერძოდ, ისტორიის კლუბისა და ლიტერატურის წესდებაში 1.2. მუხლში მიუთითა, რომ დოკუმენტი წარმოადგენს „შეთანხმებას კლუბის ყველა წევრს შორის“. ამასთან, მე-7 მუხლით განსაზღვრა მშობლის პასუხისმგებლობა (ხელმოწერით დადასტურებული), რომ მოსწავლე სრულად იცნობს და ეთანხმება კლუბის წესებს. სკოლის განმარტებით, აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს მოსწავლისა და მშობლის გაცნობიერებულ, ნებაყოფლობით ჩართულობას საკლუბო მუშაობის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში, ხოლო სკოლა უზრუნველყოს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს. შრომითი ხელშეკრულებით გაწერილია დასაქმებულის ვალდებულება, დაიცვას უსაფრთხოების წესები. ჰიგიენურ-სანიტარული ნორმების დაცვის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექიმი. სკოლამ წარმოადგინა კაფეტერიის მონიტორინგის აქტები. განხორციელებული მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- 2025-2026 სასწავლი წლის სასკოლო გეგმა;
- შინაგანაწესი;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
- კითხვარები;

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს შესაბამისობის აქტი N1B38E0446A4EE(ივსება სურსათის ცხოველის/ საკვების ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების შემოწმების მიზნით) 2025 წლის 24 იანვრის ბრძანება N 2-19
- HACCP-ის სისტემის დანერგვის სამოქმედო გეგმა
- კლუბის ანგარიში
- კლუბის წესდება და სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი 22.01.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: